

# კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

## შპს სტილ ინტერნეიშენლ ტრეიდინგ კომპანი და შვილობილი კომპანიები

2022 წლის 31 დეკემბერი



# სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	11
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	12
1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	12
2 შედგენის საფუძველი	13
2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე	13
2.2 მომზადების საფუძველი	13
2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	13
2.4 კონსოლიდაციის საფუძველი	13
2.5 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება	14
2.6 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება	15
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	16
3.1 უცხოური ვალუტა	16
3.2 ძირითადი საშუალებები	16
3.3 არამატერიალური აქტივები	17
3.4 საინვესტიციო ქონება	17
3.5 კრიპტო აქტივები	18
3.6 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება	18
3.7 მარაგები	19
3.8 ფინანსური ინსტრუმენტები	19
3.9 ფული და ფულის ეკვივალენტები	22
3.10 კაპიტალი	22
3.11 მოგების გადასახადი	22
3.12 ხარჯების აღიარება	22
3.14 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	23
3.15 სხვა შემოსავალი	23
3.17 შემოსავალი	24
4 ძირითადი საშუალებები	25
5 საინვესტიციო ქონება	25
6 კრიპტო აქტივები	25
7 გაცემული სესხები	25
8 მარაგები	26
9 საგადასახადო აქტივი	27
10 სავაჭრო მოთხოვნები	27

11	ფული და ფულის ეკვივალენტები	28
12	მიღებული სესხები	28
13	საგადასახადო ვალდებულებები	29
14	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30
15	შემოსავალი	30
16	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	31
17	სხვა შემოსავალი/(ზარალი)	31
18	ადმინისტრაციული ხარჯები	32
19	ფინანსური მოგება/(ხარჯი)	32
20	მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	32
21	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	32
22	კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა	33
22.1	კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	33
22.2	ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით	35
23	საწარმოს ფუნქციონირებადობის დაშვება	35
24	ფინანსური ინსტრუმენტები	36
24.1	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	36
24.2	ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები	37
25	ფინანსური რისკის მართვა	37
26	სამართლიანი ღირებულებით შეფასება	39
27	კაპიტალის მართვა	39
28	პირობითი მუხლები და განუსაზღვრელობები	40
28.1	იურიდიული საკითხები	40
28.2	ეკოლოგიური საკითხები	41
28.3	გადასახადები	41
29	ვალდებულებების შეჯერება ფინანსური საქმიანობიდან	41
30	დაკავშირებული მხარეები	42
30.1	საკონტროლო ურთიერთობები	42
30.2	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	42

# დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

---

**შპს გრანტ თორნტონ**

ს/ნ: 200136600

იურიდიული მისამართი:

საქართველო, თბილისი, ისნის

რაიონი, ქეთევან წამებულის

გამზირი, № 54

ტ.: + 995 322 604 406

**Grant Thornton LLC**

I/N: 200136600

Legal address:

Georgia, Tbilisi, Isani district,

Ketevan Tsamebuli avenue, № 54

T.: + 995 322 604 406

შპს სტილ ინტერნეიშნელ ტრეიდიგ კომპანის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

## უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს სტილ ინტერნეიშნელ ტრეიდიგ კომპანის (შემდგომში „კომპანია“) და შვილობილი კომპანიების (შემდგომში ერთად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ჯგუფის თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - "მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

## მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

ჯგუფს გააჩნია ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული გრძელვადიანი აქტივები (შენობა, ავეჯი და ინვენტარი), რომელთა ჯამური საბალანსო ღირებულება 2019 წელს აღრიცხულ გაუფასურებამდე შეადგენდა 1,973,281 ლარს და რომელიც სხვა საწარმოო აქტივებთან ერთად გაუფასურების შედეგად კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია ნულოვანი ღირებულებით. ჩვენ ვერ დავადგინეთ აღნიშნულ ადმინისტრაციულ აქტივებს გააჩნია თუ არა საბაზრო ან სალიკვიდაციო ღირებულება და შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა, რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში ამ აქტივებთან მიმართებაში.

როგორც აღწერილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში, ჯგუფს საინვესტიციო ქონება აღრიცხული აქვს რეალური ღირებულებით ბასს 40-ის მიხედვით. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა არ შეაფასა საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება, როგორც ეს მოთხოვნილია საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების მოდელით აღრიცხვის შემთხვევაში, ამიტომ ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა, რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში საინვესტიციო ქონებასთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტურის წერილები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე, რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია ჯამური ღირებულებით 5,219,058 ლარი. ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დაგვედასტურებინა

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტურის წერილები და შესაბამისი პირველადი დოკუმენტაცია მიღებული სესხების ნაშთების დასადასტურებლად, რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია ჯამური ღირებულებით 71,889,488 ლარი, (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 74,540,217 ლარი). ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დაგვედასტურებინა მიღებული სესხები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში მიღებულ სესხებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტურის წერილები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებზე, რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია ჯამური ღირებულებით 7,483,496 ლარი (31.12.2021 – 5,515,073 , ლარი). ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დაგვედასტურებინა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საგადასახადო ვალდებულებები, რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 11,517,292 ლარით განსხვავდება შემოსავლების სამსახურის გვერდზე წარდგენილი საგადასახადო ვალდებულებების ნაშთისგან 3,154,557 ლარით. ჩვენ ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო ვალდებულებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ბას 2-ის " სასაქონლო მატერიალური ფასეულობები" მიხედვით ნედლეულისა და მასალების დანაკარგების შრომის და სხვა საწარმოო ზედნადები ზენორმატიული ხარჯები არ უნდა ჩაირთოს მარაგების თვითღირებულებაში. ჯგუფს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების კლასიფიკაციით 2022 წელს წარმოდგენილი აქვს 44,800,621 ლარის დანახარჯი (2021: 37,705,054 ლარი). აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, ზემოთ აღნიშნული დანახარჯებიდან რა ნაწილი წარმოადგენს მარაგის თვითღირებულებაში ჩასართავ ხარჯს და რა ნაწილი ზენორმატიულ დანახარჯს.

ჩვენ ვერ დავსწარმოებთ მარაგების ინვენტარიზაციას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფის ოპერაციების ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება მარაგების რაოდენობასა და მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 6,980,168 ლარის ღირებულებით. ჩვენ ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში მარაგებსა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

#### *ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა*

როგორც 23-ე შენიშვნაშია აღნიშნული, 2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი უკრაინის წინააღმდეგ და ამ გარემოების გამო მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულ და რუსული ინვესტიციებით დაფინანსებული კომპანიების ნაწილზე და კონკრეტულ პირებზე დააწესა სანქციები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეზღუდა მათი ფუნქციონირების უნარი. აღნიშნულმა მოვლენებმა, ასევე, შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მრავალ კომპანიაზე, რომლებიც არ არიან სანქცირებულთა სიაში, თუმცა საქმიანობენ რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე. კომპანიას 2022 წელს და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჰყავს რამდენიმე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი, რომლებიც საქმიანობენ რუსეთის ფედერაციაში და უკრაინის სახელმწიფოში.

ზემოთხსენებულმა მოვლენებმა ასევე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს სილიკონმანგანუმის ზოგად მოთხოვნაზე საერთაშორისო ბაზარზე, რამაც თავის მხრივ გამოიწვია დაღმავალი ტრენდი სილიკონმანგანუმის ფასებზე 2022 წლის მეორე ნახევრიდან. ეს ტრენდი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვისაც გრძელდება.

ამასთან ერთად, ევრაზიის ეკონომიკურმა კომისიამ დააწესა ანტიდემპინგური გადასახადი საქართველოდან იმპორტირებულ ფეროსილიკომანგანუმზე. გადაწყვეტილება ძალაში 2023 წლის 25 იანვარს შევიდა. ახალი

საბაჟო გადასახადის შემოღების გამო, რუსეთის ბაზარზე, რომელიც მნიშვნელოვან გაყიდვის ბაზარს წარმოადგენს კომპანიისათვის, ფეროსილიკომანგანუმის ექსპორტის მიწოდება მთლიანად შეწყდა. რაც შეეხება ევრაზიული კავშირის მიერ დაწესებულ საბაჟო გადასახადს, ის 21,5%-24,5%-ის ფარგლებშია. შედეგად, ჯგუფმა დაკარგა თავისი ძირითადი ბაზარი და შესაბამისად მისი ძირითადი მომხმარებლები.

ეს მოვლენები და პირობები მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

### *მმართველობის ანგარიშგება*

მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის მმართველობის ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, არ იყო ხელმისაწვდომი ჩვენთვის და შესაბამისად, ჩვენი დაკვირვა არ მოიცავს ზემოთხსენებული ანგარიშის შესახებ ინფორმაციას.

### *ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე*

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### *აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.

- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული საადრიცხვო შეფასებების და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი უჭი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე.

ვანტანგ ცაბაძე

სერტიფიცირებული აუდიტორი / მმართველი პარტნიორი

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-774309

შპს გრანტ თორნტონ

თბილისი, საქართველო

11 იანვარი 2024

- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგვეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი უჭი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე.

ვახტანგ ცაბაძე

სერტიფიცირებული აუდიტორი / მმართველი პარტნიორი

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-774309

შპს გრანტ თორნტონ

თბილისი, საქართველო

11 იანვარი 2024






# ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ლარი	მენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
<b>აქტივები</b>			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	4	805,995	477,892
საინვესტიციო ქონება	5	2,588,808	2,588,808
არამატერიალური აქტივები		60,566	72,951
კრიპტო აქტივები	6	3,454,524	9,643,229
გაცემული სესხები	7	160,357,766	25,791,262
		<u>167,267,659</u>	<u>38,574,142</u>
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>			
მარაგები	8	55,028,977	35,361,494
საგადასახადო აქტივები	9	1,966,745	3,771,934
გაცემული სესხები	7	36,194,847	129,943,604
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	117,805,573	258,128,264
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	11	23,762,417	13,624,775
		<u>234,758,559</u>	<u>440,830,071</u>
სულ აქტივები		<u>402,026,218</u>	<u>479,404,213</u>
<i>კაპიტალი და ვალდებულებები</i>			
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>			
საწესდებო კაპიტალი		50	50
აკუმულირებული მოგება		207,742,775	152,857,002
გადაფასების რეზერვი კრიპტო ვალუტისთვის		-	1,080,946
არამაკონტროლებელი წილი		(4,146,091)	-
		<u>203,596,734</u>	<u>153,937,998</u>
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
სესხები	12	36,888,247	92,750,136
		<u>36,888,247</u>	<u>92,750,136</u>
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
საგადასახადო ვალდებულებები	13	11,517,292	14,357,861
სესხები	12	99,671,190	75,608,706
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	49,906,493	142,303,250
ანარიცხები		446,262	446,262
		<u>161,541,237</u>	<u>232,716,079</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>402,026,218</u>	<u>479,404,213</u>

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 11 იანვარი:

გიორგი ქელიძე

მთავარი ბუღალტერი

გენერალური დირექტორი

ზურაბ დიდბერიძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული მენიშვნებთან (12-42 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ლარი	მენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
<b>აქტივები</b>			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	4	805,995	477,892
საინვესტიციო ქონება	5	2,588,808	2,588,808
არამატერიალური აქტივები		60,566	72,951
კრიპტო აქტივები	6	3,454,524	9,643,229
გაცემული სესხები	7	160,357,766	25,791,262
		<u>167,267,659</u>	<u>38,574,142</u>
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>			
მარაგები	8	55,028,977	35,361,494
საგადასახადო აქტივები	9	1,966,745	3,771,934
გაცემული სესხები	7	36,194,847	129,943,604
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	117,805,573	258,128,264
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	11	23,762,417	13,624,775
		<u>234,758,559</u>	<u>440,830,071</u>
<b>სულ აქტივები</b>		<u><b>402,026,218</b></u>	<u><b>479,404,213</b></u>
<i>კაპიტალი და ვალდებულებები</i>			
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>			
საწესდებო კაპიტალი		50	50
აკუმულირებული მოგება		207,742,775	152,857,002
გადაფასების რეზერვი კრიპტო ვალუტისთვის		-	1,080,946
არამაკონტროლებელი წილი		(4,146,091)	-
		<u>203,596,734</u>	<u>153,937,998</u>
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
სესხები	12	36,888,247	92,750,136
		<u>36,888,247</u>	<u>92,750,136</u>
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
საგადასახადო ვალდებულებები	13	11,517,292	14,357,861
სესხები	12	99,671,190	75,608,706
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	49,906,493	142,303,250
ანარიცხები		446,262	446,262
		<u>161,541,237</u>	<u>232,716,079</u>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<u><b>402,026,218</b></u>	<u><b>479,404,213</b></u>

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 11 იანვარი:

გორგი ქელიძე

გენერალური დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

ზურაბ დიდბერიძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (12-42 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ლარი	მენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი	15	668,426,932	709,913,015
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16	(519,624,532)	(527,581,836)
საერთო მოგება		148,802,400	182,331,179
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)	17	(29,016,130)	63,737,365
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(10,589,370)	(5,977,060)
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	7;10	(14,104,290)	(1,574,952)
მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე კორექტირება	8	(8,605,203)	(3,772,647)
კრიპტოვალუტების სამართლიანი ღირებულების ცვლილებით მიღებული ზარალი	6	(5,107,759)	-
სხვა ხარჯები		(309,279)	(1,117,914)
საოპერაციო მოგება		81,070,369	233,625,971
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	19	5,323,084	(2,181,272)
საკურსო მოგება/(ზარალი), ნეტო	20	(31,769,769)	849,613
შვილობილის გასვლიდან მიღებული ზარალი		(36,502)	-
მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		54,587,182	232,294,312
მოგების გადასახადის ხარჯი		(214,868)	(342,153)
წლის წმინდა მოგება		54,372,314	231,952,159
მიკუთვნიებული მფლობელებს		58,548,405	231,952,159
მიკუთვნიებული არამაკონტროლებელ წილს		(4,176,091)	-
წლის წმინდა მოგება		54,372,314	231,952,159
კრიპტო აქტივის გადაფასება		(1,080,946)	1,080,946
წლის სრული შემოსავალი		53,291,368	233,033,105
მიკუთვნიებული მფლობელებს		57,467,459	233,033,105
მიკუთვნიებული არამაკონტროლებელ წილს		(4,176,091)	-
წლის სრული შემოსავალი		53,291,368	233,033,105

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული მენიშვნებთან (12-42 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	კრიპტო აქტივის გადაფასების რეზერვი	არამაკონტრო- ლებელი წილი	სულ კაპიტალი
<b>2020 წლის 31 დეკემბერი</b>	50	(77,156,290)	-	-	(77,156,240)
წმინდა მოგება	-	231,952,159	-	-	231,952,159
დივიდენდების გამოცხადება	-	(1,938,867)	-	-	(1,938,867)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	1,080,946	-	1,080,946
<b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>	50	152,857,002	1,080,946	-	153,937,998
წმინდა მოგება	-	58,548,405	-	(4,176,091)	54,372,314
დივიდენდების გამოცხადება	-	(3,662,632)	-	-	(3,662,632)
კრიპტო აქტივის გაუფასურება	-	-	(1,080,946)	-	(1,080,946)
არასაკონტროლო წილის ზრდა	-	-	-	30,000	30,000
<b>2022 წლის 31 დეკემბერი</b>	50	207,742,775	-	(4,146,091)	203,596,734

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (12-42 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ლარი

	2022 წელი	2021 წელი
<i>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	701,997,586	484,492,094
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(619,651,810)	(527,738,226)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(20,572,775)	(17,833,032)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები	61,773,001	(61,079,164)
გადახდილი პროცენტი	(3,807,315)	(3,291,249)
დაბრუნებული გადასახადები, წმინდა	15,899,465	47,062,090
ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება/(გაღიწება)	73,865,151	(17,308,323)
საოპერაციო საქმიანობიდან		
<i>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>		
სესხების გაცემა	(175,604,787)	(45,585,344)
გაცემული სესხების მიღება	126,683,829	13,083,350
მიღებული პროცენტი	2,143,333	2,066,731
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფული	(463,097)	(1,485,717)
ფულადი ნაკადების წმინდა გაღიწება საინვესტიციო საქმიანობიდან	(47,240,722)	(31,920,980)
<i>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</i>		
შემოდინება მიღებული სესხებიდან	28,327,437	77,447,921
მიღებული სესხის დაფარვა	(37,990,489)	(14,514,254)
დივიდენდის გაცემა	(2,951,678)	(1,938,867)
კაპიტალში შემონატანი	100,000	
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(12,514,730)	60,994,800
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება	14,109,699	11,765,497
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულზე	(3,972,057)	(2,152)
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	13,624,775	1,861,430
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	23,762,417	13,624,775

ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (12-42) გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

## 1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს სტილი ინტერნეიშენელ ტრედინგ კომპანი (შემდგომში – კომპანია) საიდენტიფიკაციო კოდით 405254692 დაფუძნდა 2018 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში - ჯგუფი) დაფუძნებული არიან, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის 100%-იან წილი მფლობელს წარმოადგენდა ფიზიკური პირი გიორგი ქელიძე, ხოლო 2022 წლის განმავლობაში მან მისი კუთვნილი 30% წილი კომპანიაში მიყიდა ფიზიკურ პირ ალექსანდრე ჩოჩიას. კომპანიის მთავარი საქმიანობაა ფეროსილიკომანგანუმით, კოქსით, ქვანახშირით და სხვა ლითონებით ვაჭრობა.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის კომპანიის გენერალური დირექტორს წარმოადგენს კომპანიის 70% წილის მფლობელი გიორგი ქელიძე. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მ. ალექსიძის ქ., N12, ბლოკი ბ, სართული 8, საოფისე ფართი, N39.

შპს სტილი ინტერნეიშენელ ტრედინგ კომპანი ფლობს შემდეგ შვილობილ საწარმოებს:

კომპანიის დასახელება	31.12.2022 წილის ფლობა	31.12.2021 წილის ფლობა	შექმენის/ დაფუძნების წელი	ინდუსტრია
შპს ჯემ ენერჯი	51%	51%	2020	არ ფუნქციონირებს
სს თრეჯერ კაპიტალი	70%	-	2022	საინვესტიციო საქმიანობა
შპს საქნახშირი	100%	100%	2019	ქვანახშირის მოპოვება
შპს პოლჩარ საქართველო	50%	50%	2019	არ ფუნქციონირებს
შპს სავაჭრო სახლი საქნახშირი	100%	100%	2019	არ ფუნქციონირებს
შპს სი-ბი-ემ ჯორჯია	100%	100%	2017	არ ფუნქციონირებს

საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულაციების მიხედვით ჯგუფი წარმოადგენს პირველი ზომითი კატეგორიის საწარმოს. ამავე რეგულაციების შესაბამისად, კომპანია არ წარმოადგენს საზოგადოებრივი დაინტერესების პირს.

### ბიზნეს გარემო

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე ცვლილებებს და საქართველოში იურიდიული, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების ცვლილებებს განგრძობითი ხასიათი აქვს. საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ამ ცვლილებებზე. მთავრობამ განაახლა ქმედებები უკეთესი მართვისთვის, მათ შორის გაზარდა ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა.

2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი უკრაინის წინააღმდეგ და ამ გარემოების გამო მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულ და რუსული ინვესტიციებით დაფინანსებული კომპანიების ნაწილზე და კონკრეტულ პირებზე დააწესა სანქციები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეზღუდა მათი ფუნქციონირების უნარი. აღნიშნულმა მოვლენებმა, ასევე, შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მრავალ კომპანიაზე, რომლებიც არ არიან სანქცირებულთა სიაში, თუმცა საქმიანობენ რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე. ჯგუფს 2022 წელს და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჰყავს რამდენიმე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი, რომლებიც საქმიანობენ რუსეთის ფედერაციასა და უკრაინის სახელმწიფოში.

ზემოთხსენებულმა მოვლენებმა ასევე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს სილიკონმანგანუმის ზოგად მოთხოვნაზე საერთაშორისო ბაზარზე, რამაც თავის მხრივ გამოიწვია დადმავალი ტრენდი სილიკონმანგანუმის ფასებზე 2022 წლის მეორე ნახევრიდან. ეს ტრენდი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვისაც გრძელდება.

ამასთან ერთად, ვერაზიის ეკონომიკურმა კომისიამ დააწესა ანტიდემპინგური გადასახადი საქართველოდან იმპორტირებულ ფეროსილიკომანგანუმზე. გადაწყვეტილება ძალაში 2023 წლის 25 იანვარს შევიდა. ახალი

საბაჟო გადასახადის შემოღების გამო, რუსეთის ბაზარზე, რომელიც მნიშვნელოვან გაყიდვის ბაზარს წარმოადგენს კომპანიისათვის, ფეროსილიკომანგანუმის ექსპორტის მიწოდება მთლიანად შეწყდა. რაც შეეხება ევრაზიული კავშირის მიერ დაწესებულ საბაჟო გადასახადს, ის 21,5%-24,5%-ის ფარგლებშია. შედეგად, ჯგუფმა დაკარგა მისი ძირითადი ბაზარი და შესაბამისად მისი ძირითადი მომხმარებლები.

ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი ამჟამინდელი ლიკვიდურობის მდგომარეობა საკმარისია მდგრადი ფუნქციონირებისთვის. ჯგუფი რეგულარულად აკონტროლებს ლიკვიდურობის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში აპირებს გამოიყენოს შესაბამისი ლიკვიდურობის ინსტრუმენტები.

## 2 შედეგის საფუძველი

### 2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად, რომელიც მიღებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ ("ბასს"). ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ჯგუფი საქმიანობს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

### 2.2 მომზადების საფუძველი

ჯგუფი სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. ჯგუფს მიაჩნია, რომ ეს მეთოდი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელი (დისკონტირებული) ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულების შეფასების დეტალები მოცემულია განმარტებით შენიშვნებში.

### 2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში (გარდა განსაზღვრული ნახსენები შემთხვევებისა). ლარში გამოსახული ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

### 2.4 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და ჯგუფის მიერ კონტროლირებადი პირების (შვილობილი კომპანიები) ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა, როდესაც ჯგუფს გააჩნია:

- ძალაუფლება ინვესტირების ობიექტზე;
- მონაწილეობა ან უფლებები ინვესტირების ობიექტში ჩართულობიდან მისაღებ უკუგებაზე;
- უნარი, გამოიყენოს ძალაუფლება უკუგებაზე ზემოქმედების მიზნით.

ჯგუფი აფასებს, აკონტროლებს თუ არა იგი ინვესტირების ობიექტს, თუ გარემოებები მიუთითებს, რომ ზემოთ მოყვანილი სამი ელემენტიდან ერთში ან მეტში მოხდა ცვლილება.

როდესაც ჯგუფი ინვესტირების ობიექტში ფლობს ხმის უფლებათა უმრავლესობაზე ნაკლებს, მას ძალაუფლება გააჩნია, თუ მისი ხმის უფლება მას ანიჭებს პრაქტიკულ შესაძლებლობას, ცალმხრივად გაუძღვეს პირის შესაბამის საქმიანობას. იმის დასადგენად, არის თუ არა მფლობელობაში მქონე ხმების რაოდენობა საკმარისი ინვესტირების ობიექტზე ძალაუფლების განსახორციელებლად, ჯგუფი აფასებს შემდეგ ფაქტებსა და გარემოებებს:

- ჯგუფის მფლობელობაში მქონე ხმის უფლებების მოცულობა სხვა მფლობელების ხმების მოცულობასთან და განაწილებასთან შედარებით;
- ჯგუფის, სხვა მფლობელებისა და სხვა პირების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოშობილი უფლებები; და

- ნებისმიერი სხვა ფაქტი და გარემოება, რომელიც მიუთითებს, რომ ჯგუფს ამჟამად აქვს ან არ აქვს შესაძლებლობა გაუძღვეს შესაბამის საქმიანობას გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობის მომენტში, მათ შორის, აქციონერთა წინა კრებებზე ხმათა გადანაწილების გათვალისწინებით.

შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია მაშინ იწყება, როდესაც ჯგუფი მასზე კონტროლს მოიპოვებს და წყდება, როდესაც ამ კონტროლს კარგავს, კერძოდ, წლის განმავლობაში შექმნილი ან გაყიდული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშში შედის იმ დღიდან, როდესაც ჯგუფი კონტროლს მოიპოვებს და გრძელდება იმ დღემდე, როდესაც ჯგუფი კონტროლს კარგავს.

მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეწერება ჯგუფის მფლობელებსა და არამაკონტროლებელ წილებს. შვილობილი კომპანიების მთლიანი სრული შემოსავლები ჯგუფის მფლობელებსა და არამაკონტროლებელ წილებს მიეწერება მაშინაც კი, თუ ამის შედეგად არამაკონტროლებელ წილებს უარყოფითი ნაშთი გამოსდით.

აუცილებლობის შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება ისე კორექტირდება, რომ მათი საბუღალტრო პოლიტიკა ჯგუფის პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოვიდეს.

ჯგუფის შიგნით ყველა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი სახსრების მოძრაობა, რომელიც ჯგუფის წევრებს შორის მიმდინარე ტრანზაქციებთანაა დაკავშირებული, კონსოლიდირებისას სრულად იქვითება.

#### არამაკონტროლებელი წილი

არამაკონტროლებელი წილები წარმოადგენს შვილობილი კომპანიის იმ კაპიტალს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად არ ეკუთვნის მშობელ საწარმოს.

არამაკონტროლებელი წილები მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე, ხოლო ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში - კაპიტალის ნაწილად, მაგრამ მშობელი კომპანიის სააქციო კაპიტალისგან ცალკე.

ისეთი ცვლილება ჯგუფის შვილობილ კომპანიებში არსებულ წილებში, რომელიც არ იწვევს ჯგუფის მიერ შვილობილ კომპანიებზე კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება როგორც წილობრივი ტრანზაქციები. ჯგუფის წილებისა და არასაკონტროლო წილების საბალანსო ღირებულებები კორექტირდება და ასახავს შვილობილ კომპანიებში მათი ფარდობითი წილების ცვლილებას. ნებისმიერი სხვაობა არასაკონტროლო წილის კორექტირების ოდენობისა და გადახდილი ან მიღებული ანაზღაურების რეალურ ღირებულებას შორის აღარდება პირდაპირ კაპიტალში და მიეწერება ჯგუფის მფლობელებს.

როცა ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, მოგება ან ზარალი ტრანზაქციიდან აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და იანგარიშება როგორც სხვაობა მიღებული კომპენსაციის, შენარჩუნებული წილის რეალური ღირებულების ჯამურ თანხასა და კონტროლის დაკარგვამდე შვილობილი კომპანიის აქტივების (გუდვილის ჩათვლით), ვალდებულებების და არასაკონტროლო წილის საბალანსო ღირებულებებს შორის. ყველა თანხა, რომელიც აღიარებული იყო შვილობილთან დაკავშირებით, როგორც სხვა საერთო შემოსავალი, აღირიცხება ისე, როგორც აღირიცხებოდა ჯგუფს რომ პირდაპირ გაეყიდა შვილობილთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები (გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალში ან კაპიტალის რომელიმე სხვა კატეგორიაში შესაბამისი ფასს-ის მიხედვით). კონტროლის დაკარგვის მომენტში, ყოფილ შვილობილ კომპანიაში შენარჩუნებული ინვესტიციის რეალური ღირებულება ჩითვლება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში (ყოფილ შვილობილ კომპანიაში) ინვესტიციის ღირებულებად თავდაპირველი აღიარებისას.

## 2.5 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 22-ე შენიშვნაში.



## 2.6 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ჯგუფმა მიმდინარე წელს გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2022 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება ჯგუფის ოპერაციებს. ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ.

### ახალი და გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის.

სტანდარტი	სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია
ფას 3	მითითებები კონცეპტუალურ საფუძვლებზე (ცვლილებები ფას 3-ში)
ბას 16	სარგებელი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე (ცვლილებები ბას 16-ში)
ბას 37	წამგებიანი ხელშეკრულება – ხელშეკრულების შესრულების ხარჯები (ცვლილებები ბას 37-ში)
ფას 1, ფას 9, ფას 41, ფას 16	ფას წლიური გაუმჯობესებები 2018-2021 ციკლი (ცვლილებები ფას 1, ფას 9, ბას 41, ბას 16)

### სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერ არ მიუღია კომპანიას

ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და ჯგუფს ისინი ჯერ არ მიუღია. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი ცვლილება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში დაინერგება იმ პირველივე პერიოდისათვის, რომლისთვისაც ამ ცვლილების გამოყენება სავალდებულო იქნება.

თუმცა, ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ამჟამად მიღებული და ჯერ ძალაში არმყოფი ახალი სტანდარტები და შესწორებები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცხრილში წარმოდგენილია ისეთი ახალი სტანდარტები/ცვლილებები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში და რომლებიც ჯგუფს ჯერ არ დაუნერგავს:

სტანდარტი	სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია	ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის დაწყებიდან
ფას 17	ცვლილებები ფას 17-ში სადაზღვევო ხელშეკრულებები, მათ შორის ფას 9-ის გამოყენებისგან დროებითი გათავისუფლება (შესწორებები ფას 4-ში)	1 იანვარი 2023
ფას 12	გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომლებიც წარმოიქმნება ერთი ტრანზაქციის შედეგად (ბას 12-ში ცვლილებები)	1 იანვარი 2023
ფას 17	ფას 17-ისა და ფას 9-ის საწყისი გამოყენება - შედარებითი ინფორმაცია (ფას 17-ში შესწორება)	1 იანვარი 2023
ბას 8	სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბას 8-ში ცვლილებები)	1 იანვარი 2023
ბას 1	სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება (ბას 1-ში ცვლილებები და პრაქტიკული ანგარიში 2)	1 იანვარი 2023
ბას 1	ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი (ბას 1-ში ცვლილებები)	1 იანვარი 2024
ბას 16	საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უიიჯაროს შემთხვევაში (შესწორებები ფას 16-ში)	1 იანვარი 2024
ბას 1	გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით (ბას 1-ში ცვლილებები)	1 იანვარი 2024

### 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

#### 3.1 უცხოური ვალუტა

##### უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.7020 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.8844 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.0976 ლარი და ერთი ევრო 3.5040 ლარი).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### 3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალ-ცალკე ძირითად საშუალებებად. აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწვევისთანავე. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად.

მიწას და დაუმთავრებელი მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების ნაწილს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, ხოლო ნაწილს ცვეთა ერიცხება მათი გამომუშავებულ ერთეულთა მიხედვით. გამომუშავებულ ერთეულთა მიხედვით ცვეთა ერიცხება სამთო გამონამუშევრებს ფაქტიურად მოპოვებული მოცულობის მთლიან დაზვერილ (მოსაპოვებელ) მოცულობასთან თანაფარდობით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მიწა	არ ცვდება
შენობები და ნაგებობები	5-55
ნახშირის მოპოვებისთვის გამოყენებული ძირითადი საშუალებები	გამომუშავებულ ერთეულთა მეთოდით
საოპერაციო დანიშნულების ძირითადი საშუალებები	4-25
ადმინისტრაციული დანიშნულების ძირითადი საშუალებები	3-14
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ ცვდება

პერიოდების მიხედვით იმ ძირითადი საშუალებების ცვეთის ღირებულებები, რომლებიც გამოიყენება წარმოების მიზნებისთვის, ემატება წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას. იმ ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი კი, რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციული მიზნებისთვის, კლასიფიცირდება, როგორც ადმინისტრაციული ხარჯი.

### 3.3 არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალური აქტივები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს და მინერალური რესურსების მოპოვების ლიცენზიებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ჯგუფი საქმიანობის განსახორციელებლად ფლობს შემდეგ ლიცენზიებს:

ლიცენზიის ალების თარიღი	ლიცენზიის No.	მოსაპოვებელი ტერიტორია	მოსაპოვებელი რაოდენობა ლიცენზიის მიხედვით (ტონებში)	ლიცენზიის ვადა (წელი)
15-აგვისტო-2006	№100752	ტყიბულის რაიონი – ლიცენზიის ფართობი 8 ჰექტარი	მინიმუმ 110,000 ტონა 2010-2011 წლებში, შემდეგ წლებში ულიმიტო	2036 წლის 14 აგვისტომდე
25-დეკემბერი-2007	№01018	ტყიბულის და ამბროლაურის რაიონი – ლიცენზიის ფართობი 5,479,9 ჰექტარი	233,298,000	45
20-იანვარი-2010	№100785	ქალაქ ტყიბულის მიმდებარედ ლიცენზიის ფართობი 0.75 ჰექტარი	ულიმიტო წლიური მოპოვება, მთლიანად მოსაპოვებელი 54,840 მ <sup>3</sup>	20
01-იანვარი-2017	№1003794	ქალაქ ტყიბულის მიმდებარედ ლიცენზიის ფართობი 5.02 ჰექტარი	602,400 მ <sup>3</sup>	20

ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადაანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. იმ შემთხვევაში, თუ ის კლასიფიცირებული არაა ფასს 5-ის „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციების“ შესაბამისად და როცა შეწყდება ამ აქტივის აღიარება.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ლიცენზიები	5-45
რუკები	45
სააღრიცხვო პროგრამები	5

პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი ნაწილობრივ კაპიტალიზდება მოპოვებული ნახშირის ღირებულებაზე ნაწილობრივ კი აღიარდება ადმინისტრაციულ ხარჯად. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა არამატერიალური აქტივი გაუფასურებულია, გარდა სააღრიცხვო პროგრამისა.

### 3.4 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გრძელვადიანი ზრდისთვის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისათვის როგორცაა: გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ან საქონლის საწარმოებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

ჯგუფი საინვესტიციო ქონების თავდაპირველ აღიარებას ახდენს თვითღირებულებით, შემდეგ კი მის შეფასებას საბაზრო ფასების ცვლილების შესაბამისად ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

საინვესტიციო ქონების საბაზრო ფასი განისაზღვრება შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი შემფასებლების დასკვნის შესაბამისად, რომლებსაც აქვთ მსგავსი აქტივების და მსგავს ლოკაციებზე შეფასების გამოცდილება.

საინვესტიციო ქონებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია მოგება-ზარალში “სხვა საოპერაციო ხარჯი, წმინდა” კლასიფიკაციის ქვეშ. საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში ცალკე კატეგორიად.

იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ქონება ხდება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება, ხდება მისი რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებში და რეკლასიფიკაციის თარიღისთვის არსებული საბალანსო ღირებულება ხდება მისი დასაშვები ღირებულება საადრიცხვო მიზნებისთვის.

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, თუ მომავალში მოსალოდნელია დანახარჯებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება და დანახარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. სხვა დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, მათი გაწვევის მომენტში.

### 3.5 კრიპტო აქტივები

კრიპტო აქტივი წარმოადგენს ვირტუალურ ვალუტას - აქტივს, რომელიც არის როგორც იდენტიფიცირებადი, ასევე განცალკევებადი და წარმოიქმნება სახელმწიკრულებო ან სხვა უფლებებით. ფასს ინტერპრეტაციების კომიტეტმა გამოუშვა დადგენილება კრიპტო აქტივების აღრიცხვასთან დაკავშირებით 2019 წლის ივნისში.

რაიმე სტანდარტი არ არეგულირებს კრიპტო აქტივების აღრიცხვას. ამ გარემოების მიმოხილვის შედეგად კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კრიპტო აქტივები აღერიცხა ბასს 38-ის მოთხოვნების შესაბამისად, გადაფასების მოდელის გამოყენებით. თავდაპირველად კრიპტოვალუტა აღრიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. კრიპტო აქტივის რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე არსებული ფასების მიხედვით. კომპანიისთვის კრიპტო ვალუტა წარმოადგენს ისეთ გრძელვადიან აქტივს, რომლის რეალიზაცია კომპანიის მიერ არ იგეგმება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.

### 3.6 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი მიმოიხილავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, ჯგუფი განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი.

აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის)

გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადის სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

### 3.7 მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად. ძირითადად კომპანიისათვის მარაგები წარმოადგენს სასაქონლო მატერიალურ მარაგებს გზაში. კომპანია აღიარებს ინვოლტრემის პირობების შესაბამისად მარაგს მაშინ როდესაც ყველა რისკი და ბენეფიტი გადმოდის კომპანიაზე. ხოლო ჩამოწერს მაშინ როდესაც ყველა რისკი და ბენეფიტს გადასცემს მყიდველს შესაბამისი სასაქონლო მატერიალური მარაგისთვის. წარმოების პროცესში არსებული გარდამავალი ფაზა ნედლეულიდან მზა პროდუქციამდე წარმოადგენს დაუმთავრებელ წარმოებას. თვის განმავლობაში გაწეული ყველა საწარმოო ხარჯი, ნედლეული და სხვა გახარჯული მარაგი თავს იყრის ამ ანგარიშზე. საწარმოო ხარჯების მაგალითია: ცვეთა, მომუშავეთა ხელფასი, დაცვის ხარჯი, მანქანა-დანადგარების დაზღვევა, ელექტროენერჯის ხარჯი და სხვა ზედნაღები ხარჯები.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შექმნასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

### 3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

#### ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

#### ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით.

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულება ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 10-ში.

#### ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

#### ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით" (FVTPL), თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნეს გაერთიანების დროს).

#### ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალ ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზირებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რემიტიცი ადიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

#### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ

დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კალკულაციისთვის იყენებს ყველა მიზანშეწონილ და დასაბუთებად ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით და რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

### გაცემული სესხები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის თარიღით აფასებს ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება:

- მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით,
- ფულის დროითი ღირებულება და
- ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

გაცემული სესხების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის კომპანია გაუფასურების სამეტაპიან მოდელს იყენებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილების საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გაუფასურებული არ არის, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე. ფინანსურ აქტივებს 1 საფეხურზე გააჩნიათ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL), რომელიც შეფასებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადის იმ ნაწილის ტოლი მოცულობით, რომელიც მიიღება დეფოლტის მოვლენებიდან, რომლებიც შესაძლოა მოხდეს მომდევნო 12 თვის განმავლობაში ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაფარვის ვადამდე, თუ აღნიშნული ვადა უფრო მოკლეა („12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“).

თუ კომპანია გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაშინ აქტივი რეკლასიფიცირდება მე-2 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, ანუ სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე, მაგრამ მოსალოდნელი ავანსის გადახდების გათვალისწინებით, თუ ასეთი არსებობს (სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“).

თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ ფინანსური აქტივი კრედიტ-გაუფასურებულია, მაშინ ეს აქტივი მე-3 ეტაპზე გადადის და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება, როგორც სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება წარსულ პერიოდში გამოცდილ შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს. ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირდება მიმდინარე საპროგნოზო ინფორმაციის მიხედვით იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კლიენტის ანგარიშსწორების უნარზე.

### ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და სასესხო ვალდებულებებს. შეჯამება კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შესახებ, კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნა 24.1-ში.

### სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, საიჯარო ვალდებულებებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

### 3.9 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

### 3.10 კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია ჯგუფის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ.) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით. დაგროვილი მოგება/ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას ან აკუმულირებულ ზარალს. დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდება.

### 3.11 მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი დაბეგრის მოდელი, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან (“მოგების გადასახადის ესტონური მოდელი”) გულისხმობს კორპორატიული გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორატიულ გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები მოგების გადასახადს იხდიან მოგების განაწილებისას (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით. აღნიშნული მოდელის გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის განსხვავების საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით კომპანიას არ წარმოექმნება.

### 3.12 ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

### 3.13 ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსური ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური



სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსური ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იური-დიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განვითარებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

### 3.14 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (a) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (b) წლიურ ფასიან შვებულებებსა და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე სააღრიცხვო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

- (a) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარ გადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.
- (b) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

### პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება. მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

### 3.15 სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

### 3.16 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

### 3.17 შემოსავალი

ჯგუფის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის ფეროსილიკომანგანუმის, ქვანახშირისა და კოქსის რეალიზაცია. დეტალური საადრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ.

#### შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
- შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
- გარიგების ფასის განსაზღვრა
- გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
- შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

#### სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

მომხმარებლის მიერ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა შეიძლება იცვლებოდეს ფასდაკლების, სხვადასხვა სახის სპეციალური ფასდათმობის, ფულადი სახსრების დაბრუნების, კრედიტის, საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული ბონუსების, ჯარიმების ან სხვა მსგავსი მუხლების შედეგად. კომპანიის მისაღები ანაზღაურება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ მოიცავს ცვალებად თანხას.

#### შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება საქონლის ფლობაზე რისკების და ანაზღაურების გადაცემის მომენტში, ჩვეულებრივ, საქონლის გაგზავნისას. თუკი კომპანია თანახმაა საქონლის გაგზავნაზე მითითებულ ადგილას, შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საქონელი გადაეცემა კლიენტს დანიშნულების პუნქტში., ან კლიენტმა მიიღო საქონელი იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რომლის მიღების პირობები ამოიწურა, ან კომპანიას აქვს ობიექტური ვალდებულებები, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი იქნა შესრულებული.

ფასები თითოეული პროდუქტის მიხედვით ფიქსირებულია და არ მოიცავს რეალიზებულ საქონელზე სარეალიზაციო ფასის გადანაწილებისას შეფასების ელემენტს. როდესაც მომხმარებელი ახდენს ერთზე მეტი სახეობის საქონლის შესყიდვას, კომპანიას შეუძლია მარტივად მოახდინოს სარეალიზაციო ფასების მკვეთრი გამიჯვნა კონტრაქტის ფარგლებში პოდუქციის ცალკე აღებული სარეალიზაციო ფასების მიხედვით.

კომპანია არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება

საკონტრაქტო ვალდებულება აღიარდება, როდესაც მომხმარებელი იხდის თანხას ან კომპანიას აქვს უპირობო უფლება (მაგ: მოთხოვნები) მანამ, სანამ კომპანია მიაწვდის პროდუქტს ან გაუწევს მას მომსახურებას. კომპანია წარადგენს საკონტრაქტო ვალდებულებას, მაშინ როდესაც მოხდება გადახდა ან გადახდის ვადა მოახლოვდება (რომელიც ამათგან უფრო ადრე მოხდება). ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არის კომპანიის ვალდებულება უზრუნველყოს მომხმარებლისთვის მომსახურება, რისთვისაც კომპანიამ მიიღო ანაზღაურება (ან გადასანდელი თანხის ოდენობა) მომხმარებლისგან.

## 4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ავტომობილებს და ოფისის აღჭურვილობას ჯამური საბალანსო ღირებულებით 805,995 ლარი (31.12.2021: 477,892 ლარი). 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს სხვა ძირითადი საშუალებები, რომელთა საბალანსო ღირებულება შეძენის მომენტისთვის და 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეფასებულია, როგორც 0. ეს აქტივებია:

- საწარმოო მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა
- სამთო გამონამუშევრები
- დაუმთავრებელი მშენებლობა, მიწა და შენობები
- ოფისის აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკა

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფილია საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები.

## 5 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს მიწას და შენობებს ქალაქ ტყიბულში. აღნიშნული საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება (შენობა-ნაგებობები 2,135,927 ლარის ღირებულებით, ხოლო მიწა 452,881 ლარის ღირებულებით) 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შეფასებულია დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ სამართლიანი ღირებულებების მე-3 დონის მიხედვით. რეალური ღირებულება განისაზღვრა გაყიდვების პირდაპირი შედარების მეთოდითა და შემოსავლების კაპიტალიზაციის მეთოდით, რომელიც გულისხმობს საბაზრო ფასების ანალიზს მსგავს აქტივებზე და დანახარჯების მეთოდით, რომელიც ეყრდნობა ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებას მისი აღდგენითი ღირებულებისა და დაგროვილი ცვეთის გათვალისწინებით.

ჯგუფს 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეკრძალება საინვესტიციო ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა მიმდინარე სასამართლო დავის გამო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან. სასამართლო დავის დეტალები იხილეთ შენიშვნაში 22.1.

## 6 კრიპტო აქტივები

2021 წელს კომპანიამ შეიძინა 63 ცალი კრიპტო აქტივი (Bitcoin), რომელთა შესყიდვის ღირებულება ოპერაციის თარიღისთვის შეადგენდა 8,562,283 ლარს. კომპანიის კრიპტო აქტივის რეალური ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3,454,524 ლარს.

კრიპტო აქტივების რეალური ღირებულების ცვლილებიდან მიღებული გაუფასურების ზარალი 2022 წელს ასახულია სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და შეადგენს 5,107,759 ლარს, რომელიც თავის თავში არ მოიცავს მანამდე დაგროვილი გადაფასების ნამეტის გაუქმებას 1,080,946 ლარით.

## 7 გაცემული სესხები

გაცემული სესხები წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	საპროცენტო განაკვეთი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	7-10%	211,207,370	181,360,984
ფიზიკური პირებზე გაცემული სესხები	8-9%	2,035,812	1,676,824
საკრედიტო ზარალის ანარიცხი		(16,690,569)	(27,302,942)
		<u>196,552,613</u>	<u>155,734,866</u>

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

მოდრაობა საკრედიტო ზარალის ანარიცხში წარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახით:

ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ნაშთი წლის დასაწყისში	(27,302,942)	(30,382,702)
ანარიცხის ზრდა პერიოდის განმავლობაში	(6,445,542)	(2,181,741)
შემცირება	20,319,116	3,651,371
უცხოური ვალუტის კურსის გავლენა	(3,261,201)	1,610,130
ნაშთი წლის ბოლოს	(16,690,569)	(27,302,942)

გაცემული სესხების ღირებულება და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხები მსესხებლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2022 წლის 31 დეკემბერი	საბალანსო	მოსალოდნელი	საბალანსო
	ღირებულება	საკრედიტო ზარალი	ღირებულება, წმინდა
ა(ა)იპ საერთაშორისო ფონდი "ქართუ"	138,742,222	-	138,742,222
შპს ჯორჯიან მანგანუზი	17,070,351	-	17,070,351
შპს ქოულ.ჯი	16,858,426	-	16,858,426
შპს მნკორპი	12,530,548	-	12,530,548
შპს ვი-აი-პი	3,782,800	(135,100)	3,647,700
სხვა მსესხებლები	24,258,835	(16,555,469)	7,703,366
	213,243,182	(16,690,569)	196,552,613

  

2021 წლის 31 დეკემბერი	საბალანსო	მოსალოდნელი	საბალანსო
	ღირებულება	საკრედიტო ზარალი	ღირებულება, წმინდა
შპს ჯორჯიან მანგანუზი	126,025,521	-	126,025,521
შპს ქოულ.ჯი	25,114,392	(22,461,086)	2,653,306
შპს მნკორპი	10,172,196	-	10,172,196
შპს ბლოქფაუერი	6,326,894	-	6,326,894
სს ქოუსთი	6,282,103	-	6,282,103
სხვა მსესხებლები	9,116,702	(4,841,856)	4,274,846
	183,037,808	(27,302,942)	155,734,866

## 8 მარაგები

ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფეროსილიკომანგანუმი	39,751,387	19,695,792
გამდიდრებული ნახშირი	3,744,117	3,894,964
სათადარიგო ნაწილები	3,053,284	3,653,535
რიგითი ნახშირი	2,190,426	32,709
წილა	2,174,005	2,414,096
მარაგის დაბრუნების უფლება	1,500,947	-
კოქსი	537,036	1,441,065
სხვა	2,077,775	4,229,333
	55,028,977	35,361,494

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფეროსილიკომანგანუმის ღირებულების კორექტირება მოხდა მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე. გაუფასურების კორექტირების თანხამ შეადგინა 8,605,203 ლარი.

## 9 საგადასახადო აქტივი

გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ურთიერთგადახურვით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახადო აქტივები, წმინდა შეადგენს 1,966,745 ლარს (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულება, წმინდა შეადგენს 3,711,934 ლარს).

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, საწარმოთა ჯგუფში შემავალი ერთი საწარმოს მიმდინარე საგადასახადო აქტივის ჩათვლა მეორე საწარმოს საგადასახადო ვალდებულების მეშვეობით შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმოებს კანონმდებლობით აქვთ მინიჭებული მხოლოდ ერთი წმინდა გადასახადის მიღების ან გადახდის უფლება და საწარმოებში საგადასახადო აქტივის ანაზღაურებასა და საგადასახადო ვალდებულების დაფარვას ერთდროულად ახორციელებენ. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფში შემავალი სხვადასხვა საწარმოს საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები წარდგენილი არ არის ურთიერთგადახურვის საფუძველზე.

## 10 სავაჭრო მოთხოვნები

ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
<b>ფინანსური მოთხოვნები</b>		
სავაჭრო მოთხოვნები	129,742,201	254,684,479
მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი	(24,840,937)	(4,088,408)
<b>არაფინანსური მოთხოვნები</b>		
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	16,977,660	7,953,805
ავანსების გაუფასურების ანარიცხები	(4,073,351)	(421,612)
	<u>117,805,573</u>	<u>258,128,264</u>

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 25 (ა)-ში.

მოდრაობა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ზარალის ანარიცხში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	2022	2021
<b>1 იანვარი</b>	<u>4,510,020</u>	<u>1,465,438</u>
დარიცხვა	24,404,268	3,044,582
<b>31 დეკემბერი</b>	<u>28,914,288</u>	<u>4,510,020</u>

კომპანიის ხელმძღვანელობა ახდენს მოთხოვნების საკრედიტო რისკის ანალიზს, რომელიც პერიოდულად გადაიხედება. კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს ფასს 9 გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

კომპანია აკეთებს სპეციფიკურ ანალიზს თითოეული მოთხოვნის ამოღების შესაძლებლობაზე, მოთხოვნის ხანდაზმულობის, მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის, დაფარვის ისტორიის და სხვა ცნობილი ინფორმაციის მიხედვით. კომპანია ქმნის ანარიცხებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად შეფასებულია, როგორც საეჭვო. კომპანია ასევე იყენებს მოსალოდნელ მომავალ ინფორმაციას შექმნილი ანარიცხების შემდგომ შეფასებასთან დაკავშირებით.

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**  
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

ახალი მომხმარებლის მიღების წინ კომპანია აფასებს პოტენციური მომხმარებლის საკრედიტო შესაძლებლობებს. ფინანსური მოთხოვნების ვადაგადაცილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2022 წლის 31 დეკემბერი  
 ლარი

	<30 დღეზე	31-90 დღე	90-180 დღე	180-365 დღე	>365 დღეზე	სულ
ზარალების ალბათობა	0.63%	0.74%	1.75%	43.08%	100.00%	
საბალანსო ღირებულება	11,735,346	11,989,178	55,292,834	47,460,151	3,264,692	129,742,201
გაუფასურების ანარიცხი	(73,984)	(88,708)	(966,839)	(20,446,714)	(3,264,692)	(24,840,937)
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	11,661,362	11,900,470	54,325,995	27,013,437	-	104,901,264

2021 წლის 31 დეკემბერი  
 ლარი

	<30 დღეზე	31-90 დღე	90-180 დღე	180-365 დღე	>365 დღეზე	სულ
ზარალების ალბათობა	0.14%	5.63%	28.49%	60.01%	100.00%	
საბალანსო ღირებულება	221,728,860	29,539,016	1,021,906	1,436,401	958,296	254,684,479
გაუფასურების ანარიცხი	(314,938)	(1,662,011)	(291,161)	(862,002)	(958,296)	(4,088,408)
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	221,413,922	27,877,005	730,745	574,399	-	250,596,071

## 11 ფული და ფულის ეკვივალენტები

ლარი

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	22,529,229	12,531,353
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	104,877	328,595.00
ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე *	1,127,863	763,913
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	448	914
	<u>23,762,417</u>	<u>13,624,775</u>

ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების საკრედიტო ხარისხი, ნაღდი ფულის ნაშთების გარდა, Fitch- ის საკრედიტო სააგენტოს თანახმად B კატეგორიითაა შეფასებული და არც ვადაგადაცილება და არც გაუფასურება არ ფიქსირდება. (\*) - წარმოდგენს აკრედიტივის უზრუნველყოფის თანხას.

## 12 მიღებული სესხები

ლარი

	საპროცენტო განაკვეთი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ინსტიტუტები	SOFR 6 month + 5.1 % - Min 9.5%/LIBOR 6 month + 9.2 % - 9.5%	52,132,606	54,772,222
არაფინანსური ინსტიტუტები	8-16%	84,426,831	113,586,620
		<u>136,559,437</u>	<u>168,358,842</u>
მიღებული სესხების მოკლევადიანი ნაწილი	საპროცენტო განაკვეთი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ინსტიტუტები	LIBOR 6 month + 5.1 % - 9.5%/LIBOR 6 month + 9.2 % - 9.5%	16,212,000	27,421,857
არაფინანსური ინსტიტუტები	8-16%	83,459,190	48,186,849
		<u>99,671,190</u>	<u>75,608,706</u>

მიღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილი	საპროცენტო განაკვეთი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ინსტიტუტები	LIBOR 6 month + 5.1 % - 9.5%/LIBOR 6 month + 9.2 % - 9.5%	35,920,606	27,350,365
არაფინანსური ინსტიტუტები	8-16%	967,641	65,399,771
		<u>36,888,247</u>	<u>92,750,136</u>
<b>ლარი</b>		<b>2022</b>	<b>2021</b>
<b>1 იანვარი</b>		<b>168,358,842</b>	<b>101,589,313</b>
ფულადი ნაკადები		(25,298,356)	59,642,418
<b>არაფულადი ნაკადები:</b>			
წლის განმავლობაში დარიცხული ფინანსური ხარჯი		9,339,946	5,792,310
წმინდა ეფექტი სავალუტო ოპერაციებიდან		(10,821,908)	(7,203,290)
სხვა არაფულადი ცვლილება		(5,019,087)	8,538,091
<b>31 დეკემბერი</b>		<b>136,559,437</b>	<b>168,358,842</b>

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სასესხო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი ცვალებადია და შეადგენს - SOFR 6 month + 5.1 %-ს Min 9.5%. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სასესხო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი ცვალებადია და შეადგენს - LIBOR 6 month + 9.22 %-ს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის და შვილობილი კომპანიების მთელი არსებული და სამომავლო არამატერიალური ქონებრივი სიკეთით და მოძრავი ქონებით; ჯორჯიან მანგანუმის საკრედიტო ხაზის თავდებობით, რომელიც უზრუნველყოფილია ჯორჯიან მანგანუმის მთელი არსებული და სამომავლო მარაგებით. მიღებული სესხების სტრუქტურა ვალუტების მიხედვით მოცემულია 25 ა) შენიშვნაში.

## 13 საგადასახადო ვალდებულებები

გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე. შედეგად, კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ურთიერთგადახურვით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა შეადგენს 11,517,292 ლარს (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 14,357,861 ლარი).

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, საწარმოთა ჯგუფში შემავალი ერთი საწარმოს მიმდინარე საგადასახადო აქტივის ჩათვლა მეორე საწარმოს საგადასახადო ვალდებულების მეშვეობით შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმოებს კანონმდებლობით აქვთ მინიჭებული მხოლოდ ერთი წმინდა გადასახადის მიღების ან გადახდის უფლება და საწარმოებში საგადასახადო აქტივის ანაზღაურებასა და საგადასახადო ვალდებულების დაფარვას ერთდროულად ახორციელებენ.

შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფში შემავალი სხვადასხვა საწარმოს საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები წარდგენილი არ არის ურთიერთგადახურვის საფუძველზე.

## 14 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	32,347,047	139,046,471
გადასახდელი ხელფასი	1,837,896	1,602,612
ფულადი სახსრების დაბრუნების ვალდებულება	4,420,441	-
არაფინანსური ვალდებულებები		
სახელმეკრულებო ვალდებულებები	11,301,109	1,654,167
	<u>49,906,493</u>	<u>142,303,250</u>

სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. კომპანიის უცხოური ვალუტის რისკთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 25 (ა)-ში.

## 15 შემოსავალი

შემოსავლები რეალიზებული საქონლის სახეობის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	2022 წელი	2021 წელი
ფეროსილიკომანგანუმი	307,683,396	488,688,701
კოქსი	202,488,686	148,175,118
ნახშირი	65,199,726	24,697,228
საწვავი	33,936,438	14,765,808
მადანი	54,694,465	16,017,089
სხვა	4,424,221	17,569,071
	<u>668,426,932</u>	<u>709,913,015</u>

შემოსავლები გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	2022 წელი	2021 წელი
ექსპორტი	293,855,979	480,763,344
ადგილობრივი გაყიდვები	374,570,953	229,149,671
	<u>668,426,932</u>	<u>709,913,015</u>

რეალიზაციები კონტრაგენტების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	2022 წელი	2021 წელი
შპს ჯი ემ ტრეიდინგ	275,498,284	282,048,801
შპს ჯორჯიან მანგანუმი	240,325,433	171,286,990
შპს ქოულ.ჯი	65,116,479	25,073,544
შპს ჯი თი ემ გრუპ	21,556,471	9,542,912
შპს ეს თი ემ გრუპ	17,724,681	197,452,004
სხვა	48,205,584	24,508,764
	<u>668,426,932</u>	<u>709,913,015</u>

კომპანიის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის დროს, არის შემთხვევები, როდესაც შემოსავლის აღიარებასა და ანაზღაურების გადახდას შორის არის დროითი სხვაობა.

თუ მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან საწარმოს უპირობო უფლება გააჩნია ანაზღაურების თანხაზე (ე.ი. წარმოადგენს მოთხოვნას) მანამ, სანამ საწარმო საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებელს, საწარმო ხელმეკრულებას წარადგენს, როგორც სახელმეკრულებო ვალდებულება, როდესაც გადახდა განხორციელდება, ან ანაზღაურების თანხის გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება ამ



მოვლენებიდან). სახელმეკრულებო ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმომ მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია).

კომპანიას 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ აქვს სახელმეკრულებო აქტივები. სახელმეკრულებო ვალდებულებები წარმოდგენილია „სავაჭრო და სხვა ვალდებულებების“ მუხლში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

## 16 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ლარი	2022 წელი	2021 წელი
ფეროსილიკომანგანუმი	195,506,316	322,207,927
კოქსი	139,879,551	109,784,132
ნახშირი	71,682,956	37,705,054
მადანი	51,412,570	15,740,389
მიწოდების მომსახურების ხარჯი	29,115,099	14,275,213
საწვავი	31,021,143	13,381,307
სხვა	1,006,897	14,487,814
	<u>519,624,532</u>	<u>527,581,836</u>

## 17 სხვა შემოსავალი/(ზარალი)

ლარი	2022 წელი	2021 წელი
ცესიიდან (მოთხოვნის დათმობიდან) მიღებული მოგება	-	53,354,282
ცესიიდან (მოთხოვნის დათმობიდან) მიღებული მოთხოვნის გაუქმებიდან მიღებული ზარალი	(45,271,832)	-
შემოსავალი საგადასახადო ვალდებულების პატიებიდან	16,036,697	9,990,779
საიჯარო შემოსავალი	9,661	-
სხვა	209,344	392,304
	<u>(29,016,130)</u>	<u>63,737,365</u>

2021 წლის 10 დეკემბრს გაფორმებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების მიხედვით შპს GMC კონსალტინგმა (ცედენტმა) შპს სტილ ინტერნეიშენალ ტრეიდინგს (ცესიონერს) ნახევარ ფასად დაუთმო 28,000,000 აშშ დოლარის ოდენობის სესხის ძირის და 6,267,361 აშშ დოლარის ოდენობის დარიცხული პროცენტის მოთხოვნა. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით კომპანიას გაუჩნდა ძირისა და მასზე დარიცხული პროცენტის მოთხოვნის უფლება შპს ჯორჯიან მანგანუზთან, სესხის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა 9,5%-ით. ოპერაციიდან მიღებულმა წმინდა მოგებამ კომპანიისთვის შეადგინა 53,354,282 ლარი ((28,000,000+6,267,361) აშშ დოლარი\*50%\*3,1140 = 53,354,282 ლარი).

2022 წლის განმავლობაში შპს ჯორჯიან მანგანუზმა შპს სტილ ინტერნეიშენალ ტრეიდინგს კომპანის მიმართ სრულად დაფარა 28,000,000 აშშ დოლარის ოდენობის სესხის ძირი და მასზე დარიცხული 7,000,000 აშშ დოლარის პროცენტი (მათ შორის 2021 წლის 10 დეკემბრის შემდეგ დარიცხული ნაწილიც).

თუმცა, 2022 წლის 10 დეკემბერს გაფორმდა შეთანხმება შპს სტილ ინტერნეიშენალ ტრეიდინგს კომპანიისა (ცესიონერი) და შპს GMC კონსალტინგს (ცედენტი) შორის, რომლის მიხედვითაც მოხდა 2021 წლის 10 დეკემბერს გაფორმებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების გაუქმება. ამ გარემოებიდან გამომდინარე 2022 წლის 31 დეკემბერს შედგა შეთანხმება შპს ჯორჯიან მანგანუზსა და შპს სტილ ინტერნეიშენალ ტრეიდინგს კომპანიის შორის, რომლის საფუძველზეც დათმობილი მოთხოვნის დაფარვის მიზნით შპს ჯორჯიან მანგანუზის მიერ ცესიონერის ანგარიშზე ჩარიცხული ჯამური თანხა 35,000,000 აშშ დოლარი (94,767,391 ლარი) (ძირი - 28,000,000 აშშ დოლარი. პროცენტი - 7,000,000 აშშ დოლარი) განხილულ იქნა, როგორც შპს ჯორჯიან მანგანუზის სავაჭრო ვალდებულების შემცირება შპს სტილ ინტერნეიშენალ ტრეიდინგს კომპანიის მიმართ, რომელიც გამომდინარეობს მათ შორის არსებული ნასყიდობის ურთიერთობიდან. ხოლო, შპს სტილ ინტერნეიშენალ ტრეიდინგს კომპანიის ვალდებულება შპს GMC კონსალტინგისადმი (ცედენტი), რომელიც 2021 წლის 10 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე იქნა აღიარებული 17,133,681 აშშ დოლარი (28,000,000+6,267,361) აშშ დოლარი\*50%), რომელიც ჩამოწერის მომენტისათვის შეადგენდა 49,495,558 ლარს,

სრულად განუღდა და გაიქვითა ზემოთხსენებულ მოთხოვნის ჩამოწერიდან წარმოშობილ ზარალთან. შედეგად, კომპანიამ აღიარა 45,271,833 ლარის წმინდა ზარალი მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

შემოსავალი საგადასახადო ვალდებულებების პატიებიდან ძირითადად უკავშირდება ბუნებრივი რესურსების და სხვა საგადასახადო ვალდებულებების პატიებებს.

## 18 ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2022 წელი	2021 წელი
კონვერტაციის ხარჯი	2,672,361	324,782
შრომის ანაზღაურება	4,045,486	3,019,245
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები	2,655,465	1,842,136
ქველმოქმედება	316,251	-
ბანკის საკომისიო	236,927	15,433
საგადასახადო ხარჯები	106,060	286,360
კავშირგაბმულობისა და ტელეკომუნიკაციის ხარჯები	58,660	39,753
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	58,448	6,780
წარმომადგენლობითი ხარჯები	1,797	83,728
სხვა	437,915	358,843
	<b>10,589,370</b>	<b>5,977,060</b>

## 19 ფინანსური მოგება/(ხარჯი)

ლარი	2022 წელი	2021 წელი
საპროცენტო ხარჯი	(9,370,043)	(5,792,310)
საპროცენტო შემოსავალი	14,693,127	3,611,038
	<b>5,323,084</b>	<b>(2,181,272)</b>

## 20 მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

ლარი	2022 წელი	2021 წელი
ფულადი სახსრების გადაფასება	(3,895,363)	(2,152)
მოთხოვნების გადაფასება	(37,219,263)	(15,045,251)
ვალდებულებების გადაფასება	13,895,335	11,282,353
გაცემული სესხების გადაფასება	(26,713,980)	(2,630,914)
მიღებული სესხების გადაფასება	22,163,502	7,245,577
	<b>(31,769,769)</b>	<b>849,613</b>

## 21 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

### ცვლილებები მიღებულ სესხებში

2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფმა მასთან დაკავშირებული მხარისგან შპს „Keystone Consulting“ აიღო სესხი 4,119,140 ლარისა და 770,000 აშშ დოლარის ოდენობით. ჯგუფმა ასევე აიღო სესხი მისი ერთ-ერთი მეწილე ალექსანდრე ჩოჩიასგან 483,034 ლარის ოდენობით.

2023 წლის 10 ივლისს ჯგუფმა აიღო სესხი Georgian Investments Limited-ისგან 1,290,000 აშშ დოლარის ოდენობით და ALVERNA LIMITED-დან 1,100,000.00 აშშ დოლარის ოდენობით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, 2023 წელს, ჯგუფმა ლიბერთი ბანკიდან 3,000,000 აშშ დოლარის ოდენობის სესხები გადაიხადა.

### ცვლილებები გაცემულ სესხებში

2023 წელს ჯგუფმა შპს COAL.GE-ზე გასცა 1,927,000 ლარის და 278,128 აშშ დოლარის ოდენობის სესხები. ამავე პერიოდში ჯგუფმა შპს მნკორპზე 5,260,853 ლარის ოდენობის სესხი გასცა.

### რუსეთის მიერ დაწესებული იმპორტის გადასახადი

ევრაზიის ეკონომიკურმა კომისიამ საქართველოდან ფეროსილიკომანგანუმზე ანტიდემპინგური გადასახადი დააწესა. გადაწყვეტილება ძალაში 2023 წლის 25 იანვარს შევიდა. ახალი საბაჟო გადასახადის შემოღების გამო, რუსეთის ბაზარზე ფეროსილიკომანგანუმის ექსპორტის მიწოდება მთლიანად შეწყდა. რაც შეეხება ევრაზიული კავშირის მიერ დაწესებულ საბაჟო გადასახადს, ის 21,5%-24,5%-ის ფარგლებშია. შედეგად, ჯგუფმა დაკარგა თავისი ძირითადი ბაზარი და შესაბამისად მისი ძირითადი მომხმარებლები, რამაც შეიძლება გაზარდოს ჯგუფის საოპერაციო რისკები.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

## 22 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა

შეფასებები და მსჯელობები მუდმივად ფასდება და ეფუძნება როგორც ისტორიულ გამოცდილებას აგრეთვე სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინებს.

### 22.1 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

ჯგუფი აფასებს და ვარაუდებს გამოთქვამს მომავალთან დაკავშირებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები შესაძლოა განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებისგან. შეფასებებსა და დაშვებებს რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი რისკი, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებაზე მომდევნო ფინანსურ წელს, განხილულია ქვემოთ.

#### მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

გაუფასურების ზარალის შეფასება ფასს 9-ის შესაბამისად, ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიისთვის საჭიროებს განსჯის გამოყენებას, კერძოდ, სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობისა და ვადების და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების პროგნოზირებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას. ეს პროგნოზები ეყრდნობა რამდენიმე ფაქტორს, რომელთა ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს რეზერვების სხვადასხვა დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაანგარიშებლად კომპანია იყენებს კომპლექსურ მოდელებს, რომლებიც ეყრდნობა რამდენიმე დაშვებას ცვლადი მონაცემების არჩევასთან და მათ ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებით.

მოცემული კომპონენტები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საკრედიტო ზარალის რეზერვზე: დეფოლტის განსაზღვრება, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა („SICR“), დეფოლტის ალბათობა („PD“), რისკის პოზიციის დეფოლტის შემთხვევაში („EAD“), და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში („LGD“), ასევე მაკრო-ეკონომიკური სცენარების მოდელები.

#### ძირითადი საშუალებების გაუფასურება

აქტივების გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის ანაზღაურებად ღირებულებაზე. ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

ქვემოთ აღწერილია ზოგიერთი მაჩვენებელი, რომელთა არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდა გაუფასურების ზარალს. ერთ-ერთი მათგანის არსებობის შემთხვევაშიც კი, საწარმო ახდენს ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას.

აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნების არსებობის დადგენისას, საწარმო ითვალისწინებს შემდეგ ნიშნებს:

- მოცემული პერიოდის განმავლობაში აქტივის ღირებულება მნიშვნელოვნად იმაზე მეტად შემცირდა, რაც მოსალოდნელი იქნებოდა დროის გასვლის ან ჩვეულებრივი გამოყენების შედეგად;
- მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს საწარმოზე, მოხდა მოცემულ პერიოდში, ან ახლო მომავალში მოხდება იმ ტექნოლოგიურ, საბაზრო, ეკონომიკურ ან სამართლებრივ გარემოში, სადაც ფუნქციონირებს საწარმო, ან იმ ბაზარზე, რომლისთვისაც განკუთვნილია აქტივი;
- საბაზრო საპროცენტო განაკვეთები ან ინვესტიციებზე უკუგების საბაზრო ნორმები მოცემულ პერიოდში გაიზარდა და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ზრდა გავლენას მოახდენს აქტივის

გამოყენების ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთზე და მნიშვნელოვნად შეამცირებს მოცემული აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას;

- საწარმოს ნეტო აქტივების საბალანსო ღირებულება მეტია მის საბაზრო კაპიტალიზაციაზე;
- არსებობს აქტივის მოძველების ან მისი ფიზიკური დაზიანების ნიშნები;
- მოცემულ პერიოდში მოხდა ან ახლო მომავალში მოხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს საწარმოზე იმ თვალსაზრისით, რომ გავლენას მოახდენს აქტივის მიმდინარე ან შემდგომი გამოყენების ხარისხზე, ან მეთოდზე. აღნიშნულ ცვლილებებს განეკუთვნება აქტივის მოცდენა, იმ ქვედანაყოფის საქმიანობის შეწყვეტის ან რესტრუქტურისაციის გეგმები, რომელსაც მიეკუთვნება აქტივი და აქტივის ექსპლუატაციიდან ამოღების გეგმა ადრე ნაკარაუდევ თარიღზე ადრე და ადრე განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონედ კლასიფიცირებული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის ხელახლა შეფასება და კლასიფიცირება შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივად ; და
- შიდა ანგარიშგებიდან ჩანს მტკიცებულებები იმისა, რომ აქტივის გამოყენების ეკონომიკური მაჩვენებლები მოსალოდნელზე უფრო მეტად გაუარესდა, ან მომავალში გაუარესდება;

აქტივის შესაძლო გაუფასურების მაჩვენებლის არსებობა შესაძლოა მიუთითებდეს აქტივის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის, ცვთის (ამორტიზაციის) მეთოდის ან აქტივის ნარჩენი ღირებულების გადასინჯვის საჭიროებასა და კორექტირებაზე, მოცემული აქტივის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, მაშინაც კი, როცა აქტივის გაუფასურების ზარალი აღიარებული არ არის.

2018 წლის ივნისში, ჯგუფში შემავალმა კომპანიამ, საქნახშირმა, შეაჩერა ნახშირის მოპოვება რამდენიმე ფატალური ინციდენტის გამო. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელი აწარმოებდა აქტიურ მოლაპარაკებებს ნახშირის მოპოვებულ უცხოურ კომპანიასთან ახალი ტექნოლოგიებით სამთო ოპერაციების აღდგენისა და რეკონსტრუქციისთვის, იმისათვის, რომ კომპანიაში ნახშირის მოპოვება ტექნიკური და კომერციული თვალსაზრისით მიზანშეწონილი გამხდარიყო.

ასევე კომპანიის დამფუძნებელს ჰქონდა გაფორმებული მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც შპს საქნახშირისგან მოხდებოდა ნახშირის ფიქსირებულ ფასად შესყიდვა, მას შემდეგ რაც ახალი თბო-ელექტრო სადგური შევიდოდა ექსპლუატაციაში.

განახლებული პროგნოზების და დასრულებული წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე აღნიშნულ რეკონსტრუქციის პროექტთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობამ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაასკვნა, რომ ცვლილებებმა არ გამოიწვია გაუფასურების ზარალი.

2019 წელს შპს საქნახშირი ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფისგან“ შეიძინა შპს „სტილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანიმ“, რის შედეგადაც კომპანიისთვის ავტომატურად გაუქმდა ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის მემორანდუმი ნახშირის ფიქსირებულ ფასად შესყიდვაზე. ზემოთ აღწერილი მოვლენები მიჩნეულ იქნა კომპანიის ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკატორად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა გამოყენების შედეგად მოსალოდნელი მომავალი ფულადი სახსრების დისკონტირებული ღირებულება.

ხელმძღვანელობის შეფასებით, გარდა ავტომობილებისა, კომპანიის ადმინისტრაციული შენობისა, სხვა საოფისე ინვენტარისა და საინვესტიციო ქონებისა, ყველა გრძელვადიანი აქტივი წარმოადგენს ერთ ფულადი სახსრების წარმოდგენ ერთობლიობას. ყველა სხვა დანარჩენ გრძელვადიან აქტივზე მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება უარყოფითია, ამიტომ გამოყენებითი ღირებულების კალკულაცია შეუძლებელია.

2019 წელს ჩატარებული შეფასების შედეგად გამოყენებითი ღირებულება ძირითადი საშუალებებიდან მხოლოდ ავტომობილების ჯგუფს აქვს და ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებული გაუფასურების ტესტის მიხედვით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 349,999 ლარს. (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 399,662 ლარს).

ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა ფულადი სახსრების დისკონტირების ტექნიკის გამოყენებით, მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც სამართლიანი ღირებულების შეფასების მე-3 დონის იერარქია, შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობიდან გამომდინარე.

ძირითადი საშუალების შეფასებისას გამოყენებულია შემდეგი ძირითადი დაშვებები:

- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასება მოხდა აშშ დოლარში ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული ხუთწლიან ფინანსურ ბიუჯეტზე დაყრდნობით გაანგარიშებული პროგნოზების საფუძველზე.
- შემდგომი ტერმინალური პერიოდი გამოყენებულია გაუფასურების ტესტირებისთვის მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისთვის;
- დისკონტირების პროცენტი გადასახადების გამოკლებით განისაზღვრა 16,48%-ით, საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით;
- ტერმინალური პერიოდის ზრდის ტემპი განისაზღვრა აშშ დოლარის გრძელვადიანი ინფლაციის მაჩვენებლით 2,2 %-ით და ქართული ლარის გრძელვადიანი ინფლაციის მაჩვენებლით 3%-ით;

### სასამართლო დავები

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

### საგადასახადო კანონმდებლობა და საგადასახადო ანარიცხების აღრიცხვა

ჯგუფის გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ხელმძღვანელობა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღრიცხება გადასახადის იმ მიდგომებისთვის, რომლებსაც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის.

შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

ვალდებულებები მოგების გარდა სხვა მიდგომებთან დაკავშირებულ ჯარიმებთან, პროცენტებთან ან გადასახადებთან დაკავშირებით აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ იმ ხარჯების საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომლებიც აუცილებელია ვალდებულებების შესასრულებლად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. რეალური ხარჯი მომავალში, შესაძლოა განსხვავდებოდეს გაკეთებული შეფასებებისგან.

## 22.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

ჯგუფის ხელმძღვანელობა მომავალი ზრდის ტემპების განსაზღვრისთვის დაეყრდნო მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს. უცხოური ვალუტის კურსის მომავალი ცვლილებების შეფასებისას ხელმძღვანელობამ გამოიყენა ეროვნული ბანკის და საერთაშორისო ინსტიტუციების პროგნოზები.

ჯგუფის ხელმძღვანელობა აფასებს ახალ ბაზრებზე წვდომის შესაძლებლობებს გადადმული ნაბიჯების მიხედვით, რომელიც ამ ეტაპზე მნიშვნელოვნად ორიენტირდება თურქეთის ბაზარზე შედრწევაზე.

## 23 საწარმოს ფუნქციონირებადობის დაშვება

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ჯგუფი ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსს შეინარჩუნებს პროგნოზირებად მომავალში, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფი შეძლებს აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის ნორმალურად ფუნქციონირების პროცესში.

ამგვარად განსჯისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა ჯგუფის ოპერაციებზე გარე ფაქტორების ზეგავლენა.

- 2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი უკრაინის წინააღმდეგ და ამ გარემოების გამო მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ რუსეთის ფედერაციაში

რეგისტრირებულ და რუსული ინვესტიციებით დაფინანსებული კომპანიების ნაწილზე და კონკრეტულ პირებზე დააწესა სანქციები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეზღუდა მათი ფუნქციონირების უნარი. აღნიშნულმა მოვლენებმა, ასევე, შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მრავალ კომპანიაზე, რომლებიც არ არიან სანქცირებულთა სიაში, თუმცა საქმიანობენ რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე. კომპანიას 2022 წელს და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჰყავს რამდენიმე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი, რომლებიც საქმიანობენ რუსეთის ფედერაციაში და უკრაინის სახელმწიფოში.

მენეჯმენტი აცნობიერებს საექსპორტო ბაზრებთან დაკავშირებულ ყველა არსებულ სირთულეს და საფრთხეს, რომელიც უბრალოდ შეიძლება აისახოს გაყიდვების შემცირებაზე მომდევნო წლებში, მაგრამ ჯგუფის მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს ბაზრების დივერსიფიკაციაზე, და ცდილობენ მოძებნონ ახალი და უფრო სტაბილური ბაზრები კომპანიის პროდუქციისთვის. დღეის მდგომარეობით, ქართული ფეროშენადნობების სამიზნე ძირითადი ბაზრებია აშშ და თურქეთი. ასევე, პროდუქციის შედარებით მცირე ნაწილი მიდის ირანში, ბრაზილიაში, აზერბაიჯანში, ჩილეში, პერუში, დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, კოლუმბიაში, ყაზახეთში, საფრანგეთსა და იტალიაში.

- ზემოთხსენებულმა მოვლენებმა ასევე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს სილიკონმანგანუმის ზოგად მოთხოვნაზე საერთაშორისო ბაზარზე, რამაც თავის მხრივ გამოიწვია დადებითი ტრენდი სილიკონმანგანუმის ფასებზე 2022 წლის მეორე ნახევრიდან. ეს ტრენდი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვისაც გრძელდება.

ინდუსტრიის ექსპერტები და ჯგუფის მენეჯმენტი თურქეთის ბაზარს განიხილავენ, როგორც ფეროსილიკონმანგანუმის ერთ-ერთ სტაბილურ საექსპორტო ბაზარს. თურქეთში მომხდარი მასშტაბური მიწისძვრის შემდეგ მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რამაც ავტომატურად გაზარდა მოთხოვნა ქართულ ფეროშენადნობებზე. კომპანიას უკვე დამასრულებელ ფაზაში აქვს მოლაპარაკებები თურეთის წარმომადგენლებთან სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად. არსებობს რეალური შანსი რუსეთის ბაზარი თურქული ბაზრით ჩანაცვლდეს.

- ამასთან ერთად, ევრაზიის ეკონომიკურმა კომისიამ დააწესა ანტიდემპინგური გადასახადი საქართველოდან იმპორტირებულ ფეროსილიკონმანგანუმზე. გადაწყვეტილება ძალაში 2023 წლის 25 იანვარს შევიდა. ახალი საბაჟო გადასახადის შემოღების გამო, რუსეთის ბაზარზე, რომელიც მნიშვნელოვან გაყიდვის ბაზარს წარმოადგენს კომპანიისათვის, ფეროსილიკონმანგანუმის ექსპორტის მიწოდება მთლიანად შეწყდა. რაც შეეხება ევრაზიული კავშირის მიერ დაწესებულ საბაჟო გადასახადს, ის 21,5%-24,5%-ის ფარგლებშია. შედეგად, ჯგუფმა დაკარგა თავისი ძირითადი ბაზარი და შესაბამისად მისი ძირითადი მომხმარებლები.

ჯგუფის მენეჯმენტმა შეაფასა ანგარიშგების შემდგომი მოვლენები და ფინანსური მონაცემები ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის გასაანალიზებლად. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები, როგორცაა წმინდა მოგება, დამაკმაყოფილებელია (44 მილიონზე ლარზე მეტი) 2023 წლის 31 ოქტომბრისთვის. ამასთან, ჯგუფმა დაფარა 10 მილიონ ლარზე მეტი გრძელვადიანი სესხები, რაც დამატებით ადასტურებს, რომ კომპანიას არ აქვს ლიკვიდობის პრობლემა. შეჯამებისათვის, ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ჯგუფი სტაბილურად ინარჩუნებს ნორმალურად ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვან ფინანსურ მაჩვენებლებს.

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯგუფის ხელმძღვანელობა ვერ აფასებს ზემოთ აღნიშნული მოვლენების გავლენას (ან შესაძლო გავლენას) ჯგუფის საქმიანობაზე, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ჯგუფს არ აქვს მნიშვნელოვანი შეფერხება საოპერაციო საქმიანობაში, თვლის რომ მართებულია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

## 24 ფინანსური ინსტრუმენტები

### 24.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

სააღრიცხვო პოლიტიკები და მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.8-ში.

## 24.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
<i>ამორტიზირებული ღირებულებით წარდგენილი</i>		
გაცემული სესხები	196,900,746	155,734,866
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	104,901,264	250,596,071
ფული და ფულის ეკვივალენტები	23,762,417	13,624,775
მთლიანი ფინანსური აქტივები	325,564,427	419,955,712
ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
<i>ამორტიზირებული ღირებულება</i>		
სასესხო ვალდებულებები	136,559,437	168,358,842
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	38,605,384	140,649,083
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	175,164,821	309,007,925

## 25 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი. ჯგუფი არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც ჯგუფთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

### ფინანსური რისკის ფაქტორები

#### a) საბაზრო რისკი

ჯგუფს აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

#### უცხოური ვალუტის რისკი

ჯგუფს ოპერაციები აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობების რისკი. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ჯგუფს საკურსო რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ (თანხები გადაყვანილია ლარებში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით):

2022 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო	რუბლი
გაცემული სესხები	196,552,613	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	94,598,004	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	22,517,938	1,136,351	-
სულ ფინანსური აქტივები	313,668,555	1,136,351	-
სასესხო ვალდებულებები	136,566,787	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16,034,201	2,392,236	465,208
სულ ფინანსური ვალდებულებები	152,600,988	2,392,236	465,208
წმინდა სავალუტო პოზიცია	161,067,567	(1,255,885)	(465,208)

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**  
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

2021 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო	რუბლი
გაცემული სესხები	155,734,866	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	247,553,895	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	13,291,583	3,683	-
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>416,580,344</b>	<b>3,683</b>	<b>-</b>
სასესხო ვალდებულებები	168,358,842	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	134,305,650	19,955	-
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>302,664,492</b>	<b>19,955</b>	<b>-</b>
<b>წმინდა სავალუტო პოზიცია</b>	<b>113,915,852</b>	<b>(16,272)</b>	<b>-</b>

ცხრილი ასახავს დოლარის და ევროს მიმართ ლარის 20% (2021: 20%) გამყარების გავლენას ჯგუფზე. აღნიშნული 20% (2021: 20%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარისა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 20%-იანი (2021: 20%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარისა და ევროსთან მიმართებაში 20% ით (2020: 20%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2022	2021	2022	2021
მოგება/(ზარალი)	(32,213,513)	(22,783,170)	251,177	3,254

ზემოთ მოყვანილი ანალიზი ითვლება ჯგუფის სავალუტო რისკის შემოქმედების წარმოსადგენად და ითვალისწინებს, რომ ყველა სხვა ცვლადი, როგორცაა საპროცენტო განაკვეთები, უცვლელია.

**b) საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. ჯგუფი შესაძლოა აღმოჩნდეს საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, მათ შორის, ნაღდი ფულის, საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით.

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

გაცემული სესხების საკრედიტო რისკის მართვის მიზნით ჯგუფი სესხის გაცემამდე აანალიზებს: მსესხებლის ფინანსურ ინფორმაციას, წარსულში და მიმდინარე მდგომარეობით ფინანსური სიძნელეების არსებობას. სესხის გაცემის შემდგომ კი კომპანია პერიოდულად უწევს მონიტორინგს მსესხებლის ფინანსური სიძნელეების წარმოქმნის რისკებს, რითიც მართავს საკრედიტო რისკს.

დებიტორული დავალიანებების საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. დეტალური ინფორმაცია სავაჭრო მოთხოვნების ვადაგადაცილების შესახებ წარმოდგენილია 10-ე შენიშვნაში.

საკრედიტო რისკის მართვა საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულთან მიმართებაში ხდება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინტიტუტებში. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო ზარალი არ ყოფილა.



**c) ლიკვიდრობის რისკი**

ლიკვიდრობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები. ჯგუფი ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე.

ჯგუფი ისწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები დარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები.

ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები განსხვავდება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მოცემული თანხა ეფუძნება დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებს.

2022 ლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	სასესხო ვალდებულება	ჯამი
ერთ წლამდე	38,605,384	109,787,816	148,393,200
1-5 წელი	-	51,698,878	51,698,878
5 წლის ზემოთ	-	-	-
	<u>38,605,384</u>	<u>161,486,694</u>	<u>200,092,078</u>
2021 ლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	სასესხო ვალდებულება	ჯამი
ერთ წლამდე	140,649,083	78,096,582	218,745,665
1-5 წელი	-	77,666,749	77,666,749
5 წლის ზემოთ	-	27,350,365	27,350,365
	<u>140,649,083</u>	<u>183,113,696</u>	<u>323,762,779</u>

**26 სამართლიანი ღირებულებით შეფასება**

ჯგუფი აკეთებს იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და აჯგუფებს მათ 3 დონეზე. თითოეული დონე განხილულია ქვემოთ:

- დონე 1 –სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის ამოსავალი მონაცემები არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კვოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის.
- დონე 2- სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის ამოსავალი მონაცემები არის მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემი, გარდა კვოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ ან არაპირდაპირ.
- დონე 3- სამართლიანი ღირებულების შეფასება დამოკიდებულია შეფასების ტექნიკებზე, რომელიც იყენებს ისეთ მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება ბაზარზე ღიად დაკვირვებად მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

**27 კაპიტალის მართვა**

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და

არსებული სესხების დაფარვით. ჯგუფმა შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას. კაპიტალის მართვის მიზნებია:

- ჯგუფმა შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგება კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის;

კომპანია ადგენს აუცილებელი კაპიტალის რაოდენობას რისკის პროპორციულად გადახდისუნარიანობის კოფიციენტის გათვალისწინებით, მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას მასში შემავალი აქტივების რისკის მახასიათებლების და ეკონომიკური პირობების ცვლილებების გათვალისწინებით.

## 28 პირობითი მუხლები და განუსაზღვრელობები

### 28.1 იურიდიული საკითხები

2013 წლის 20 სექტემბერს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა კომპანიის ვიზუალური დათვალიერება/შესწავლა, რა დროსაც გამოვლინდა, რომ ნახშირის გამდიდრების პროცესში გამოყენებული წყალი მიეწოდებოდა რადიალურ ლამპმსქელებელს, საიდანაც ჭარბი გადანადენი წყალი ე.წ. ავარიული მილით ჩაედინებოდა მდინარე ტყიბულაში. ტერიტორიაზე მოწყობილი არ იყო სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა, ჩამდინარე წყალი გაწმენდის გარეშე ჩაედინებოდა მდინარეში.

გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 6 ნოემბრის №01-13/115 ბრძანების საფუძველზე შემოწმებული იქნა შპს საქნახშირზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების №00241 ნებართვით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობა, რა დროსაც გამოვლინდა, რომ საწარმოს არ ჰქონდა მოწყობილი სალექარში გაწმენდილი წყლის შემკრები 300 მ3 მოცულობის ავზი და სანიაღვრე წყლების შემკრები არხები. საწარმოს ჩამდინარე წყლები ტუმბოს საშუალებით მიეწოდებოდა ჰორიზონტალურ სალექარს, საიდანაც ღია არხით ჩაედინებოდა მდ. ტყიბულაში. შემოწმების დროს წყლის ბრუნვითი სისტემა არ მუშაობდა, საწარმო ჩამდინარე წყლები ღია არხით ჩაედინებოდა მდ. ტყიბულაში და ხდებოდა მდინარის დაბინძურება მავნე ნივთიერებებით. შემოწმების დროს მოხდა ჩამდინარე წყლების სინჯების აღება, მდ. ტყიბულაში ჩამდინარე წყლები დაბინძურებული ნივთიერებების (შეწონილი ნაწილაკების) რაოდენობის დასადგენად. გამოვლენილი დარღვევებიდან გამომდინარე, 2014 წლის 14 იანვარს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის საფუძველზეც შპს „საქნახშირი“ ტყიბულის მაგისტრალი სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით ცნობილი იქნა სამართალდარღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 792-ე მუხლით, შესაბამისად შეეფარდა ჯარიმა 5,000 ლარის ოდენობით.

ჩამდინარე წყლებიდან აღებული ნიმუშების გამოკვლევის შედეგების, ასევე მოპასუხე საწარმოს გენერალური დირექტორის 2013 წლის 12 დეკემბრის N01-11/400 და 2014 წლის 16 იანვრის N01-11/12 წერილების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N54 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდის შესახებ“ მე-10 მუხლის თანახმად, გამოანგარიშებული იქნა წყლის რესურსების დაბინძურებით გარემოსათვის მიყენებული ზიანი, რამაც შეადგინა 3,170,762 ლარი. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შპს საქნახშირის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული ზიანის 446,262 ლარის გადახდა. ეს გადაწყვეტილება გასაჩივრეს შპს საქნახშირმა და გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა. საქმეზე ჩანაძნულია ექსპერტიზა. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის სასამართლო დავების შესაძლო მოსალოდნელი ზარალი შეადგენს 446,262 ლარს, რომელიც აღირიცხა „სხვა ხარჯების“ კლასიფიკაციის ქვეშ 2020 წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

## 28.2 ეკოლოგიური საკითხები

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულება საქართველოში განვითარების პროცესშია და რეგულარულად ხდება სახელმწიფო ორგანოების პოზიციების გადახედვა. კომპანია პერიოდულად აფასებს თავის ვალდებულებებს, რომელიც გათვალისწინებულია გარემოსდაცვით კანონმდებლობაში. ვალდებულებები განსაზღვრისთანავე უნდა იქნას აღიარებული. შეუძლებელია პოტენციური ვალდებულებების შეფასება, რომლებიც შესაძლებელია წარმოიშვას არსებულ კანონმდებლობაში, სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებსა და წესებში გახორციელებული ცვლილებების შედეგად, თუმცა შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი. მოქმედი კანონმდებლობის პირობებში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა გარემოსთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით.

2019 წელს გაფორმდა გლობალური და რეგიონული ნახშირის გამოყენების ეტაპობრივი შეწყვეტის შესახებ პარიზის ხელშეკრულება: „Insights from Intergovernmental Panel on Climate Change (IPCC) Special Report on 1.5°C“, სადაც აღნიშნულია რომ მიუხედავად რეგიონისა, ნახშირის გამოყენებამ ელექტროენერჯის წარმოებაში პიკს უნდა მიაღწიოს 2020 წელს და შემდგომ ყველა რეგიონში ეტაპობრივად შემცირდეს. ძირითადად ნახშირის გამოყენება უნდა შემცირდეს 2030 წლამდე, ამ დროისთვის მისი მოხმარება ელექტროენერჯის წარმოებაში არ უნდა აღარააბნობდეს 13%-ს ნებისმიერ რეგიონში, და გლობალურად 6%-ს. პირველ რიგში ნახშირის გამოყენება უნდა შეწყდეს OECD ქვეყნებში, შემდეგ სამხრეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში - 2031 წლისთვის, რასაც მოყვება ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში ნახშირის ხმარებიდან ამოღება. პროცესი საბოლოოდ უნდა დასრულდეს 2040 წელს. აღნიშნული შეთანხმების შესრულება სავალდებულოა საქართველოსთვისაც, როგორც შეთანხმების ერთ-ერთი მონაწილე მხარისთვის და მისი მოთხოვნები ვრცელდება შპს საქნახშირზეც, რომლის მთავარი საოპერაციო საქმიანობა ნახშირის მოპოვებაა.

## 28.3 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოებსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

## 29 ვალდებულებების შეჯერება ფინანსური საქმიანობიდან

კომპანიის ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

ლარი

	მიღებული სესხები
<b>2020 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>101,589,313</b>
ფულადი ნაკადები	59,642,418
არაფულადი ცვლილებები:	
დარიცხული პროცენტი	5,792,310
ზარალი საკურსო სხვაობებიდან	(7,203,290)
სხვა არაფულადი ცვლილება	8,538,091
<b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>168,358,842</b>
ფულადი ნაკადები	(13,470,367)
არაფულადი ცვლილებები:	
დარიცხული პროცენტი	9,339,946
მოგება საკურსო სხვაობებიდან	(10,821,908)
სხვა არაფულადი ცვლილება	(16,847,076)
<b>2022 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>136,559,437</b>

## 30 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და კომპანიის ხელმძღვანელობა.

### 30.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიის 70 % -იანი წილის მფლობელი და მკონტროლებელი მხარე ფიზიკური პირი გიორგი ქელიძე.

### 30.2 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ნაშთები:

ლარი ოპერაციები	2022 წელი	2021 წელი
<i>ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან</i>		
ფინანსური შემოსავალი	-	22,146
ადმინისტრაციული ხარჯები	(513,188)	(1,748,747)
<i>ოპერაციები დამფუძნებლებთან</i>		
ფინანსური შემოსავალი	35,074	-
ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალის ანარიცხის ცვლილება	-	(146,369)
უმაღლესი ხელმძღვანელობის მოკლევადიანი შრომის ანაზღაურება	(791,413)	(506,895)
ლარი ნაშთები	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
<i>ნაშთები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან</i>		
გაცემული სესხები გაუფასურებამდე	2,047,131	2,113,443
გაცემული სესხების საკრედიტო ზარალების ანარიცხი	(2,015,324)	(182,006)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(132,931)	(170,425)
<i>ნაშთები დამფუძნებლებთან</i>		
გაცემული სესხები გაუფასურებამდე	614,904	290,159
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	135,103	137,047

# დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიში კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

**შპს გრანთ თორნტონ**  
ს/ნ: 200136600  
იურიდიული მისამართი:  
საქართველო, თბილისი, ისანი  
რაიონი, ქეთევან წამებულის  
გაშვირი, № 54  
ტ.: + 995 322 604 406

**Grant Thornton LLC**  
I/N: 200136600  
Legal address:  
Georgia, Tbilisi, Isani district,  
Ketevan Tsamebuli avenue, №  
54  
T.: + 995 322 604 406

## შპს სტილ ინტერნეიშნელ ტრეიდინგ კომპანის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შპს სტილ ინტერნეიშნელ ტრეიდინგ კომპანი-მ („კომპანია“) მოამზადა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული პერიოდისთვის.

ჩვენ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2024 წლის 11 იანვარს უარი ვთქვით მოსაზრების გამოთქმაზე. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს.

ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

## ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით ჩვენ მოგვეთხოვა მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებულ ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, შეიცავს თუ არა „კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება“ ინფორმაციას რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

### მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ვახტანგ ცაბაძე

სერტიფიცირებული აუდიტორი / მმართველი პარტნიორი

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-774309

შპს გრანტ თორნთონ

თბილისი, საქართველო

6 თებერვალი 2024

**მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე**

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ვახტანგ ცაბაძე

სერტიფიცირებული აუდიტორი / მმართველი პარტნიორი

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-774309

შპს გრანტ თორნთონ

თბილისი, საქართველო

6 თებერვალი 2024





## **შპს სტილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანი**

### **მმართველობის ანგარიში**

31 დეკემბერი 2022





**ინფორმაცია ჯგუფის საქმიანობის შესახებ**

შპს სტილ ინტერნეიშენელ ტრეიდიგ კომპანი (შემდგომში – კომპანია) საიდენტიფიკაციო კოდით 405254692 დაფუძნდა 2018 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში - ჯგუფი) დაფუძნებული არიან, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის 100%-იან წილი მფლობელს წარმოადგენდა ფიზიკური პირი გიორგი ქელიძე, ხოლო 2022 წლის განმავლობაში მან მისი კუთვნილი 30% წილი კომპანიაში მიყიდა ფიზიკურ პირ ალექსანდრე ჩოჩიას. კომპანიის მთავარი საქმიანობაა ფეროსილიკომანგანუმით, კოქსით, ქვანახშირით და სხვა ლითონებით ვაჭრობა.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის კომპანიის გენერალური დირექტორს წარმოადგენს კომპანიის 70% წილის მფლობელი გიორგი ქელიძე. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მ. ალექსიძის ქ., N12, ბლოკი ბ, სართული 8, საოფისე ფართი, N39.

შპს სტილ ინტერნეიშენელ ტრეიდიგ კომპანი ფლობს შემდეგ შვილობილ საწარმოებს:

კომპანიის დასახელება	31.12.2022 წლის ფლობა	31.12.2021 წლის ფლობა	შექმენის/ დაფუძნების წელი	ინდუსტრია
შპს ჯიემ ენერჯი	51%	51%	2020	არ ფუნქციონირებს
სს თრეჟერ კაპიტალი	70%	-	2022	საინვესტიციო საქმიანობა
შპს საქნახშირი	100%	100%	2019	ქვანახშირის მოპოვება
შპს პოლჩარ საქართველო	50%	50%	2019	არ ფუნქციონირებს
შპს სავაჭრო სახლი საქნახშირი	100%	100%	2019	არ ფუნქციონირებს
შპს სი-ბი-ემ ჯორჯია	100%	100%	2017	არ ფუნქციონირებს

საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულაციების მიხედვით ჯგუფი წარმოადგენს პირველი ზომითი კატეგორიის საწარმოს. ამავე რეგულაციების შესაბამისად, კომპანია არ წარმოადგენს საზოგადოებრივი დაინტერესების პირს.

თანამშრომელთა რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 1,232-ს, ხოლო 2021 წელს 1,230-ს.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შექმნას ადგილი არ ჰქონია.

2018 წლის ივნისში შპს „საქნახშირი“ შეაჩერა ნახშირის მოპოვება რამდენიმე ფატალური ინციდენტის გამო. თუმცა, 2019 წლის სექტემბერში კომპანიაში 100%-იან მესაკუთრედ შპს "სტილ ინტერნეიშენელ ტრეიდიგ კომპანი"-ის შემოსვლის შემდეგ, კომპანია ამდგინა ქვანახშირის წარმოება ტექნიკური უსაფრთხოების წესების სრული დაცვით.

**ჯგუფის მომავალი განვითარების გეგმები**

დღეისთვის ჯგუფი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ ტრეიდიგულ კომპანიას საქართველოში. ჯგუფი გეგმავს თავისი სავაჭრო პროდუქციის პორტფელის გაფართოებას და შემოსავლების ზრდას.

ინდუსტრიის ექსპერტები და ჯგუფის მენეჯმენტი თურქეთის ბაზარს განიხილავენ, როგორც ფეროსილიკომანგანუმის ერთ-ერთ სტაბილურ საექსპორტო ბაზარს. თურქეთში მომხდარი მასშტაბური მიწისძვრის შემდეგ მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რამაც ავტომატურად გაზარდა მოთხოვნა ქართულ ფეროშენადნობებზე. კომპანიას უკვე დამასრულებელ ფაზაში აქვს მოლაპარაკებები თურეთის წარმომადგენლებთან სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად. არსებობს რეალური შანსი რუსეთის ბაზარი თურქული ბაზრით ჩანაცვლდეს.

მენეჯმენტი აცნობიერებს საექსპორტო ბაზრებთან დაკავშირებულ ყველა არსებულ სირთულეს და საფრთხეს, რომელიც უბრალოდ შეიძლება აისახოს გაყიდვების შემცირებაზე მომდევნო წლებში, მაგრამ ჯგუფის მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს ბაზრების დივერსიფიკაციაზე, და ცდილობენ მოძებნონ ახალი და უფრო



სტაბილური ბაზრები კომპანიის პროდუქციისთვის. დღეის მდგომარეობით, ქართული ფეროშენადნობების სამიზნე ძირითადი ბაზრებია აშშ და თურქეთი. ასევე, პროდუქციის შედარებით მცირე ნაწილი მიდის ირანში, ბრაზილიაში, აზერბაიჯანში, ჩილეში, პერუში, დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, კოლუმბიაში, ყაზახეთში, საფრანგეთსა და იტალიაში. სტილი გეგმავს ქვანახშირის წარმოების გაზრდას, კერძოდ, რიგითი ნახშირის მოპოვებას 30 ათას ტონამდე. გასაღების ბაზარი იქნება ძირითადად ორი საქართველოს საწარმო: ჯიემი და ჰაიდელბერგი. ასევე სხვა მცირე საწარმოები. სტილი იმედოვნებს, რომ ამის შედეგად მოხდება ძირითადი ხარჯების გადაფარვა საქანახშირში. 2019 – 2021 წლებში საქანახშირი დოტაციური იყო. ასევე სტილი ინტენსიურად მუშაობს ინვესტირების მოძიებაზე ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობისთვის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საქანახშირის მომავლისთვის.

### **ჯგუფის საოპერაციო გარემოს და საქმიანობის შედეგების მიმოხილვა**

#### **ზოგადი საოპერაციო გარემო**

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე ცვლილებებს და საქართველოში იურიდიული, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების ცვლილებებს განგრძობითი ხასიათი აქვს. საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ამ ცვლილებებზე. მთავრობამ განაახლა ქმედებები უკეთესი მართვისთვის, მათ შორის გაზარდა ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა.

2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი უკრაინის წინააღმდეგ და ამ გარემოების გამო მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულ და რუსული ინვესტიციებით დაფინანსებული კომპანიების ნაწილზე და კონკრეტულ პირებზე დააწესა სანქციები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეზღუდა მათი ფუნქციონირების უნარი. აღნიშნულმა მოვლენებმა, ასევე, შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მრავალ კომპანიაზე, რომლებიც არ არიან სანქცირებულითა სიაში, თუმცა საქმიანობენ რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე. ჯგუფს 2022 წელს და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჰყავს რამდენიმე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი, რომლებიც საქმიანობენ რუსეთის ფედერაციასა და უკრაინის სახელმწიფოში.

ზემოთხსენებულმა მოვლენებმა ასევე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს სილიკონმანგანუმის ზოგად მოთხოვნაზე საერთაშორისო ბაზარზე, რამაც თავის მხრივ გამოიწვია დაღმავალი ტრენდი სილიკონმანგანუმის ფასებზე 2022 წლის მეორე ნახევრიდან. ეს ტრენდი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვისაც გრძელდება.

ამასთან ერთად, ევრაზიის ეკონომიკურმა კომისიამ დააწესა ანტიდემპინგური გადასახადი საქართველოდან იმპორტირებულ ფეროსილიკომანგანუმზე. გადაწყვეტილება ძალაში 2023 წლის 25 იანვარს შევიდა. ახალი საბაჟო გადასახადის შემოღების გამო, რუსეთის ბაზარზე, რომელიც მნიშვნელოვან გაყიდვის ბაზარს წარმოადგენს კომპანიისათვის, ფეროსილიკომანგანუმის ექსპორტის მიწოდება მთლიანად შეწყდა. რაც შეეხება ევრაზიული კავშირის მიერ დაწესებულ საბაჟო გადასახადს, ის 21,5%-24,5%-ის ფარგლებშია. შედეგად, ჯგუფმა დაკარგა მისი ძირითადი ბაზარი და შესაბამისად მისი ძირითადი მომხმარებლები.

ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი ამჟამინდელი ლიკვიდურობის მდგომარეობა საკმარისია მდგრადი ფუნქციონირებისთვის. ჯგუფი რეგულარულად აკონტროლებს ლიკვიდურობის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში აპირებს გამოიყენოს შესაბამისი ლიკვიდურობის ინსტრუმენტები.

#### **იურიდიული საკითხები**

2013 წლის 20 სექტემბერს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა კომპანიის ვიზუალური დათვალიერება/შესწავლა, რა დროსაც გამოვლინდა, რომ ნახშირის გამდიდრების პროცესში გამოყენებული წყალი მიეწოდებოდა რადიალურ ლამპმსქელებელს, საიდანაც ჭარბი გადანადენი წყალი ე.წ. ავარიული მილით ჩაედინებოდა მდინარე ტყიბულაში. ტერიტორიაზე მოწყობილი არ იყო სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა, ჩამდინარე წყალი გაწმენდის გარეშე ჩაედინებოდა მდინარეში.

გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 6 ნოემბრის №01-13/115 ბრძანების საფუძველზე შემოწმებული იქნა შპს საქანახშირზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების №00241 ნებართვით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების



შესრულების მდგომარეობა, რა დროსაც გამოვლინდა, რომ საწარმოს არ ჰქონდა მოწყობილი სალექარში განმედილი წყლის შემკრები 300 მ3 მოცულობის ავზი და სანიაღვრე წყლების შემკრები არხები. საწარმოს ჩამდინარე წყლები ტუმბოს საშუალებით მიეწოდებოდა ჰორიზონტალურ სალექარს, საიდანაც ღია არხით ჩაედინებოდა მდ. ტყიბულაში. შემოწმების დროს წყლის ბრუნვითი სისტემა არ მუშაობდა, საწარმო ჩამდინარე წყლები ღია არხით ჩაედინებოდა მდ. ტყიბულაში და ხდებოდა მდინარის დაბინძურება მავნე ნივთიერებებით. შემოწმების დროს მოხდა ჩამდინარე წყლების სინჯების აღება, მდ. ტყიბულაში ჩაშვებული დაბინძურებული ნივთიერებების (შეწონილი ნაწილაკების) რაოდენობის დასადგენად. გამოვლენილი დარღვევებიდან გამომდინარე, 2014 წლის 14 იანვარს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის საფუძველზეც შპს „საქნახშირი“ ტყიბულის მაგისტრალი სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 792-ე მუხლით, შესაბამისად შეეფარდა ჯარიმა 5,000 ლარის ოდენობით.

ჩამდინარე წყლებიდან აღებული ნიმუშების გამოკვლევის შედეგების, ასევე მოპასუხე საწარმოს გენერალური დირექტორის 2013 წლის 12 დეკემბრის N01-11/400 და 2014 წლის 16 იანვრის N01-11/12 წერილების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N54 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდის შესახებ“ მე-10 მუხლის თანახმად, გამოანგარიშებული იქნა წყლის რესურსების დაბინძურებით გარემოსათვის მიყენებული ზიანი, რამაც შეადგინა 3,170,762 ლარი. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შპს საქნახშირის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული ზიანის 446,262 ლარის გადახდა. ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს შპს საქნახშირმა და გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა. საქმეზე ჩანიშნულია ექსპერტიზა. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის სასამართლო დავების შესაძლო მოსალოდნელი ზარალი შეადგენს 446,262 ლარს, რომელიც აღირიცხა „სხვა ხარჯების“ კლასიფიკაციის ქვეშ 2020 წლის მოგებისა და ზარალის ანგარშებაში.

### ეკოლოგიური საკითხები

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულება საქართველოში განვითარების პროცესშია და რეგულარულად ხდება სახელმწიფო ორგანოების პოზიციების გადახედვა. კომპანია პერიოდულად აფასებს თავის ვალდებულებებს, რომელიც გათვალისწინებულია გარემოსდაცვით კანონმდებლობაში. ვალდებულებები განსაზღვრისთანავე უნდა იქნას აღიარებული. შეუძლებელია პოტენციური ვალდებულებების შეფასება, რომლებიც შესაძლებელია წარმოიშვას არსებულ კანონმდებლობაში, სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებსა და წესებში გახორციელებული ცვლილებების შედეგად, თუმცა შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი. მოქმედი კანონმდებლობის პირობებში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა გარემოსთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით.

2019 წელს გაფორმდა გლობალური და რეგიონული ნახშირის გამოყენების ეტაპობრივი შეწყვეტის შესახებ პარიზის ხელშეკრულება: „Insights from Intergovernmental Panel on Climate Change (IPCC) Special Report on 1.5°C“, სადაც აღნიშნულია რომ მიუხედავად რეგიონისა, ნახშირის გამოყენებამ ელექტროენერჯის წარმოებაში პიკს უნდა მიაღწიოს 2020 წელს და შემდგომ ყველა რეგიონში ეტაპობრივად შემცირდეს. ძირითადად ნახშირის გამოყენება უნდა შემცირდეს 2030 წლამდე, ამ დროისთვის მისი მოხმარება ელექტროენერჯის წარმოებაში არ უნდა აჭარბებდეს 13%-ს ნებისმიერ რეგიონში, და გლობალურად 6%-ს. პირველ რიგში ნახშირის გამოყენება უნდა შეწყდეს OECD ქვეყნებში, შემდეგ სამხრეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში - 2031 წლისთვის, რასაც მოყვება ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში ნახშირის ხმარებიდან ამოღება. პროცესი საბოლოოდ უნდა დასრულდეს 2040 წელს. აღნიშნული შეთანხმების შესრულება სავალდებულოა საქართველოსთვისაც, როგორც შეთანხმების ერთ-ერთი მონაწილე მხარისთვის და მისი მოთხოვნები ვრცელდება შპს საქნახშირზეც, რომლის მთავარი საოპერაციო საქმიანობა ნახშირის მოპოვებაა.



**გადასახადები**

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოებსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

**ზოგადი ეკონომიკური მაჩვენებლები**

ბოლო პერიოდის ეკონომიკური განვითარებები მოცემულია ქვემო ცხრილებში (წყარო: <https://www.geostat.ge/ka>):

← უკან დაბრუნება **სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია)**

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან	99.1	99.5	103.1	104.0	102.1	106.0	102.6	104.9	105.2	109.6	111.9	102.5
დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან	98.6	102.4	102.0	104.9	101.8	106.7	101.5	107.0	102.4	113.9	109.8	100.4

	2019	2020	2021	2022	2023*
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	13 316.4	11 389.7	14 341.1	19 131.1	21 529.0
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	3 798.0	3 340.7	4 242.5	5 583.4	6 090.6
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	9 518.3	8 049.0	10 098.6	13 547.7	15 438.4
საგარეო ვაჭრობის საღდო	-5 720.3	-4 708.3	-5 856.1	-7 964.3	-9 347.8
ექსპორტი რეექსპორტის გარეშე	2 317.8	2 408.0	3 127.5	3 692.9	2 791.5

← უკან დაბრუნება **მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)**

	2018	2019	2020	2021	2022	I 23*	II 23*	III 23*
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი ლარი	44.6	49.3	49.3	60.0	72.3	16.6	19.7	21.2
მშპ მუდმივ 2015 წლის ფასებში, მილიარდი ლარი	38.4	40.3	37.6	41.5	45.8	11.0	13.0	12.3
რეალური მშპ-ის ზრდა, პროცენტი	4.8	5.0	-6.8	10.5	10.4	8.0	7.8	5.7
მშპ დეფლატორის ცვლილება, პროცენტი	4.4	5.2	7.3	10.3	9.1	7.2	19.7	2.7
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი	11 968.0	13 239.4	13 234.1	16 179.5	19 465.5	4 477.5	5 297.3	5 687.0
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4 722.0	4 696.2	4 255.7	5 023.2	6 676.3	1 698.2	2 070.4	2 169.4



**ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა**

2022 და 2021 წლის განმავლობაში ჯგუფი არ ყოფილა ჩართული რაიმე კვლევის და განვითარების აქტივობაში.

**ჯგუფის ფილიალების მიმოხილვა**

ჯგუფი არ ფლობს იურიდიულ ფილიალებს.

**ჯგუფის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები**

	2022	2021
შემოსავალი	668,426,932	709,913,015
საერთო მოგება	148,802,400	182,331,179
წმინდა მოგება/(ზარალი)	54,372,314	231,952,159
საერთო მოგება/შემოსავალთან (%)	22.26%	25.68%
წმინდა მოგება / შემოსავალთან(%)	8.13%	32.67%

ჯგუფმა 2022 წელს გაზარდა საოპერაციო საქმიანობის მასშტაბი, რაც დადებითად აისახა როგორც შემოსავლებზე, ასევე საერთო მოგებასა და სხვა ფინანსურ მაჩვენებლებზე.

**ჯგუფის აქტივები**

ჯგუფის მთლიანი აქტივების წლიური შემცირება წინა წელთან მიმართებაში 2022 წელს იყო 16%, ხოლო 2021 წელს იყო ზრდა 487% .

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 117,805,573 ლარს, გაცემული სესხები 136,559,437 ლარს.

**მარაგები**

შეადგენდა 55,028,977 ლარს, რომელშიც ძირითადად შედის ფეროსილიკომანგანუმი.

**ჯგუფის ვალდებულებები: სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

საცალო ვაჭრობის სფეროში მოღვაწე კომპანიები ხშირად იყენებენ სავაჭრო ვალდებულებებს საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად. შედეგად, სავაჭრო ვალდებულებები ხშირ შემთხვევაში მთლიანი ვალდებულებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. 2022-ში ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მთლიანი ვალდებულებების 31%-ია 49,906,493 ლარით. (2021: 61%, 142,303,250 ლარი)

**მიღებული სესხები**

საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად ჯგუფი იღებს სესხებს, როგორც ფინანსური ინსტიტუტებიდან, ასევე იურიდიული პირებისგან. 2022 წლის მონაცემები იხილეთ ცხრილში:

ლარი	საპროცენტო განაკვეთი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ინსტიტუტები	SOFR 6 month + 5.1 % - Min 9.5%/LIBOR 6 month + 9.2 % - 9.5%	52,132,606	54,772,222
არაფინანსური ინსტიტუტები	8-16%	84,426,831	113,586,620
		<u>136,559,437</u>	<u>168,358,842</u>



მიღებული სესხების მოკლევადიანი ნაწილი	საპროცენტო განაკვეთი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ინსტიტუტები	LIBOR 6 month + 5.1 % - 9.5%/LIBOR 6 month + 9.2 % - 9.5%	16,212,000	27,421,857
არაფინანსური ინსტიტუტები	8-16%	83,459,190	48,186,849
		<u>99,671,190</u>	<u>75,608,706</u>
მიღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილი	საპროცენტო განაკვეთი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ინსტიტუტები	LIBOR 6 month + 5.1 % - 9.5%/LIBOR 6 month + 9.2 % - 9.5%	35,920,606	27,350,365
არაფინანსური ინსტიტუტები	8-16%	967,641	65,399,771
		<u>36,888,247</u>	<u>92,750,136</u>

### ჯგუფის ფინანსური და არაფინანსური რისკების მიმოხილვა

ჯგუფში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ, ოპერაციულ და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით.

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის დირექტორთა საბჭო და შესაბამისი კომიტეტები მენეჯმენტისგან დებულობენ ყოველთვიურ ანგარიშგებას, მიმოხილავენ თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

#### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა) და გაცემული სესხებიდან.

იმის მიუხედავად, რომ საკრედიტო რისკზე გავლენას ახდენს ეკონომიკური ფაქტორებიც, მენეჯმენტს სჯერა, რომ ჯგუფი არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე, გარდა იმ აქტივებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა, რომლებთან დაკავშირებითაც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი.

#### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

ჯგუფს საბაზრო რისკი წარმოექმნება პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

#### საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე.

ჯგუფს არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა, თუ რა პროპორციით უნდა იყოს ფიქსირებული და ცვლადი სესხები ჯგუფში. თუმცა, ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია გარდა ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხებისა, რომელთა საპროცენტო განაკვეთი 6 თვიან LIBOR-ზეა მიბმული.



ამ ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს საპროცენტო მარჟები, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან წავიდეს ზარალში იმ შემთხვევაში, როდესაც მოულოდნელი მოძრაობები წარმოიქმნება ბაზარზე. ჯგუფი არ აკეთებს მისი საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებას.

**სავალუტო რისკი**

ჯგუფს ოპერაციები აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობების რისკი. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ჯგუფს საკურსო რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ (თანხები გადაყვანილია ლარებში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით):

2022 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო	რუბლი
გაცემული სესხები	196,552,613	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	94,598,004	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	22,517,938	1,136,351	-
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>313,668,555</b>	<b>1,136,351</b>	<b>-</b>
სასესხო ვალდებულებები	136,566,787	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16,034,201	2,392,236	465,208
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>152,600,988</b>	<b>2,392,236</b>	<b>465,208</b>
<b>წმინდა სავალუტო პოზიცია</b>	<b>161,067,567</b>	<b>(1,255,885)</b>	<b>(465,208)</b>

2021 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო	რუბლი
გაცემული სესხები	155,734,866	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	247,553,895	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	13,291,583	3,683	-
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>416,580,344</b>	<b>3,683</b>	<b>-</b>
სასესხო ვალდებულებები	168,358,842	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	134,305,650	19,955	-
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>302,664,492</b>	<b>19,955</b>	<b>-</b>
<b>წმინდა სავალუტო პოზიცია</b>	<b>113,915,852</b>	<b>(16,272)</b>	<b>-</b>

ცხრილი ასახავს დოლარის და ევროს მიმართ ლარის 20% (2021: 20%) გამყარების გავლენას ჯგუფზე. აღნიშნული 20% (2021: 20%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარისა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 20%-იანი (2021: 20%) განაკვეთით. ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარისა და ევროსთან მიმართებაში 20% ით (2020: 20%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2022	2021	2022	2021
მოგება/(ზარალი)	(32,213,513)	(22,783,170)	251,177	3,254

ზემოთ მოყვანილი ანალიზი ითვლება ჯგუფის სავალუტო რისკის ზემოქმედების წარმოსადგენად და ითვალისწინებს, რომ ყველა სხვა ცვლადი, როგორცაა საპროცენტო განაკვეთები, უცვლელია.

**ლიკვიდრობის რისკი**

ლიკვიდრობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები. ჯგუფი ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე.



ჯგუფი ისწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები დარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები.

ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები განსხვავდება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მოცემული თანხა ეფუძნება დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებს.

2022 ლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	სასესხო ვალდებულება	ჯამი
ერთ წლამდე	38,605,384	109,787,816	148,393,200
1-5 წელი	-	51,698,878	51,698,878
5 წლის ზემოთ	-	-	-
	<u>38,605,384</u>	<u>161,486,694</u>	<u>200,092,078</u>
2021 ლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	სასესხო ვალდებულება	ჯამი
ერთ წლამდე	140,649,083	78,096,582	218,745,665
1-5 წელი	-	77,666,749	77,666,749
5 წლის ზემოთ	-	27,350,365	27,350,365
	<u>140,649,083</u>	<u>183,113,696</u>	<u>323,762,779</u>

#### საოპერაციო რისკი

2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი უკრაინის წინააღმდეგ და ამ გარემოების გამო მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულ და რუსული ინვესტიციებით დაფინანსებული კომპანიების ნაწილზე და კონკრეტულ პირებზე დააწესა სანქციები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეზღუდა მათი ფუნქციონირების უნარი. აღნიშნულმა მოვლენებმა, ასევე, შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მრავალ კომპანიაზე, რომლებიც არ არიან სანქცირებულთა სიაში, თუმცა საქმიანობენ რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე. კომპანიას 2022 წელს და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჰყავს რამდენიმე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი, რომლებიც საქმიანობენ რუსეთის ფედერაციასა და უკრაინის სახელმწიფოში.

მენეჯმენტი აცნობიერებს საექსპორტო ბაზრებთან დაკავშირებულ ყველა არსებულ სირთულეს და საფრთხეს, რომელიც უბრალოდ შეიძლება აისახოს გაყიდვების შემცირებაზე მომდევნო წლებში, მაგრამ ჯგუფის მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს ბაზრების დივერსიფიკაციაზე, და ცდილობს მოძებნოს ახალი და უფრო სტაბილური ბაზრები კომპანიის პროდუქციისთვის. დღეის მდგომარეობით, ქართული ფეროშენადნობების სამიზნე ძირითადი ბაზრებია აშშ და თურქეთი. ასევე, პროდუქციის შედარებით მცირე ნაწილი მიდის ირანში, ბრაზილიაში, აზერბაიჯანში, ჩილეში, პერუში, დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, კოლუმბიაში, ყაზახეთში, საფრანგეთსა და იტალიაში.

ზემოთხსენებულმა მოვლენებმა ასევე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს სილიკონმანგანუმის ზოგად მოთხოვნაზე საერთაშორისო ბაზარზე, რამაც თავის მხრივ გამოიწვია დადებითი ტრენდი სილიკონმანგანუმის ფასებზე 2022 წლის მეორე ნახევრიდან. ეს ტრენდი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვისაც გრძელდება.

ინდუსტრიის ექსპერტები და ჯგუფის მენეჯმენტი თურქეთის ბაზარს განიხილავენ, როგორც ფეროსილიკონმანგანუმის ერთ-ერთ სტაბილურ საექსპორტო ბაზარს. თურქეთში მომხდარი მასშტაბური მიწისძვრის შემდეგ მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რამაც ავტომატურად გაზარდა მოთხოვნა ქართულ ფეროშენადნობებზე. კომპანიას უკვე დამასრულებელ ფაზაში აქვს მოლაპარაკებები თურქეთის წარმომადგენლებთან სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად. არსებობს რეალური შანსი რუსეთის ბაზარი თურქული ბაზრით ჩანაცვლდეს.





ამასთან ერთად, ევრაზიის ეკონომიკურმა კომისიამ დააწესა ანტიდემპინგური გადასახადი საქართველოდან იმპორტირებულ ფეროსილიკომანგანუმზე. გადაწყვეტილება ძალაში 2023 წლის 25 იანვარს შევიდა. ახალი საბაჟო გადასახადის შემოღების გამო, რუსეთის ბაზარზე, რომელიც მნიშვნელოვან გაყიდვის ბაზარს წარმოადგენს კომპანიისათვის, ფეროსილიკომანგანუმის ექსპორტის მიწოდება მთლიანად შეწყდა. რაც შეეხება ევრაზიული კავშირის მიერ დაწესებულ საბაჟო გადასახადს, ის 21,5%-24,5%-ის ფარგლებშია. შედეგად, ჯგუფმა დაკარგა თავისი ძირითადი ბაზარი და შესაბამისად მისი ძირითადი მომხმარებლები.

ჯგუფის მენეჯმენტმა შეაფასა ანგარიშგების შემდგომი მოვლენები და ფინანსური მონაცემები ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის გასაანალიზებლად. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები, როგორცაა წმინდა მოგება, დამაკმაყოფილებელია (44 მილიონზე ლარზე მეტი) 2023 წლის 31 ოქტომბრისთვის. ამასთან, ჯგუფმა დაფარა 10 მილიონ ლარზე მეტი გრძელვადიანი სესხები, რაც დამატებით ადასტურებს, რომ კომპანიას არ აქვს ლიკვიდობის პრობლემა. შეჯამებისათვის, ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ჯგუფი სტაბილურად ინარჩუნებს ნორმალურად ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვან ფინანსურ მაჩვენებლებს.

სხვა ფინანსური ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ამიტომ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში აღარ არის წარმოდგენილი.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 6 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

გიორგი ჭელიძე  
გენერალური დირექტორი  
6 თებერვალი 2024

მთავარი ბუღალტერი  
ზურაბ დიდბერიძე  
6 თებერვალი 2024



ამასთან ერთად, ევრაზიის ეკონომიკურმა კომისიამ დააწესა ანტიდემინგური გადასახადი საქართველოდან იმპორტირებულ ფეროსილიკომანგანუმზე. გადაწყვეტილება ძალაში 2023 წლის 25 იანვარს შევიდა. ახალი საბაჟო გადასახადის შემოღების გამო, რუსეთის ბაზარზე, რომელიც მნიშვნელოვან გაყიდვის ბაზარს წარმოადგენს კომპანიისათვის, ფეროსილიკომანგანუმის ექსპორტის მიწოდება მთლიანად შეწყდა. რაც შეეხება ევრაზიული კავშირის მიერ დაწესებულ საბაჟო გადასახადს, ის 21,5%-24,5%-ის ფარგლებშია. შედეგად, ჯგუფმა დაკარგა თავისი ძირითადი ბაზარი და შესაბამისად მისი ძირითადი მომხმარებლები.

ჯგუფის მენეჯმენტმა შეაფასა ანგარიშგების შემდგომი მოვლენები და ფინანსური მონაცემები ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის გასაანალიზებლად. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები, როგორცაა წმინდა მოგება, დამაკმაყოფილებელია (44 მილიონზე ლარზე მეტი) 2023 წლის 31 ოქტომბრისთვის. ამასთან, ჯგუფმა დაფარა 10 მილიონ ლარზე მეტი გრძელვადიანი სესხები, რაც დამატებით ადასტურებს, რომ კომპანიას არ აქვს ლიკვიდობის პრობლემა. შეჯამებისათვის, ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ჯგუფი სტაბილურად ინარჩუნებს ნორმალურად ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვან ფინანსურ მაჩვენებლებს.

სხვა ფინანსური ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ამიტომ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში აღარ არის წარმოდგენილი.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 6 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

გიორგი ჭელიძე  
გენერალური დირექტორი  
6 თებერვალი 2024



მთავარი ბუღალტერი  
ზურაბ დიდბერიძე  
6 თებერვალი 2024